



# ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



WITH FUNDING FROM  
AUSTRIAN  
DEVELOPMENT  
COOPERATION



## მეკალმასობა საქართველოში: ღირებულებათა ჯაჭვის რეგიონული კვლევა

# ISET

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა  
კვლევითი ინსტიტუტი



Agricultural Policy Research Center  
at ISET Policy Institute



# მეკალმასობა საქართველოში: ღირებულებათა ჯაჭვის რეგიონული კვლევა

კონტრაქტი No. 2013/331728

ENPARD – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა  
თებერვალი, 2016 წელი, საქართველო, თბილისი



ევროკავშირი  
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა

ევროკავშირი (EU) ხელს უწყობს სოფლად სიღარიბის შემცირებასა და სოფლის განვითარების თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) დახმარებით, რომელიც საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. 2013-2019 წლებისათვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ბიუჯეტი საქართველოში 102 მილიონ ევროს შეადგენს. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა იყო, ხოლო მეორე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)

## პასუხისმგებლობის აცხადება

დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს დახმარებით და ქეასთან თანამშრომლობით. დოკუმენტის შინაარსი არის მხოლოდ ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პასუხისმგებლობა და არ წარმოადგენს ევროკავშირის, ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ქეას პოზიციას.

# ISET

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა  
კვლევითი ინსტიტუტი



Agricultural Policy Research Center  
at ISET Policy Institute

## მთავარი მკვლევრები:

ირაკლი (რატი) კოჭლამაზაშვილი

ნინო კაკულია

## დამხმარე პერსონალი:

ენდრიუ ჰარგრეივისი

გურანდა დარჩიძე

ლია გოდერძიშვილი

## პუბლიკაციის ღიზანი:

ანა გრიგოლია

# სარჩევი

გრაფიკების ჩამონათვალი .....	5
ცხრილებისა და ჩანართების ჩამონათვალი .....	5
განმარტება .....	6
აბრევიატურები და აკრონიმები .....	7
1. შეჯამება .....	8
2. მეკალმახეობა საქართველოსა და მსოფლიოში .....	9
3. კვლევის არეალი .....	11
3.1 მეთოდები და მიდგომები .....	11
3.2 საოფისე სამუშაოები .....	12
3.3 საველე სამუშაოები .....	12
3.4 შეზღუდვები .....	12
3.5 კვლევის არეალი .....	12
4. საქართველოში კალმახის საქტორის ანალიზი .....	14
4.1 კალმახის წარმოება საქართველოში .....	14
4.2 კალმახის ექსპორტი და იმპორტი .....	14
4.3 კალმახის ფასი .....	17
5. ძირითადი ეტაპების აღწერა .....	18
6. გარემო .....	20
6.1 საჯარო უწყებები .....	20
6.2 განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები .....	20
6.3 სექტორული ასოციაციები .....	20
6.4 ფინანსური ინსტიტუტები .....	20
6.5 კვლევითი ინსტიტუტები/საგანმანათლებლო ცენტრები .....	20
6.6 საერთაშორისო სავაჭრო გარემო/ლოჯისტიკა .....	20
6.7 სერტიფიცირების სააგენტოები .....	21
7. ძირითადი სარგებელი და დამატებული ღირებულების საქმიანობები .....	22
7.1 მონაწილეების დამატებული ღირებულება თითოეულ რგოლზე .....	22
7.1.1 ფერმერი .....	22
7.1.2 ბითუმად მოვაჭრე .....	22
7.1.3 ცალობით მოვაჭრე .....	22
8. მეკალმახეობის ფერმის დანახარჯები და სარგებელი .....	24
8.1 დანახარჯები და სარგებელი მეკალმახეობის ფერმისა, რომელიც სტაბილურად აწარმოებს 10 ტ. კალმახს წელიწადში .....	24
9. მეკალმახეობის კოოპერატივები .....	25
10. SWOT-ანალიზი .....	27
11. მთავარი მოთამაშეები და მათი ურთიერთკავშირები .....	28
11.1 ურთიერთობები ღირებულებათა ჰორიზონტალურ ტაქვში .....	28
11.2 ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ტაქვში .....	29
12. კალმახის საქტორის შეზღუდვები .....	30
13. რეკომენდაციები კალმახის საქტორის განვითარებისთვის .....	31
ბიბლიოგრაფია .....	32
დანართი .....	33

## **გრაფიკების ჩამონათვალი**

<b>გრაფიკი 1:</b> ქეას კონსორციუმის სამიზნე (გამუქებული) მუნიციპალიტეტების რუკა .....	13
<b>გრაფიკი 2:</b> საქართველოში კალმახის იმპორტისა და ექსპორტის ევოლუცია ღირებულების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი) .....	14
<b>გრაფიკი 3:</b> კალმახის თითოეული კატეგორიის წილი 2015 წლის მთლიან იმპორტში.....	15
<b>გრაფიკი 4:</b> 2015 წელს საქართველოში კალმახის იმპორტიორი ქვეყნები სავაჭრო ღირებულების მიხედვით .....	16
<b>გრაფიკი 5:</b> 2015 წელს საქართველოდან კალმახის ექსპორტიორი ქვეყნები სავაჭრო ღირებულების მიხედვით .....	16
<b>გრაფიკი 6:</b> ახალი კალმახის საშუალო თვიური ფასები (2015 წლის მარტიდან 2016 წლის იანვრის ჩათვლით).....	17
<b>გრაფიკი 7:</b> ქსელური რუკა გვიჩვენებს საქართველოში კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა დაინტერესებულ მხარესა და ეტაპს .....	19
<b>გრაფიკი 8:</b> კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ნაკადების სქემა .....	22
<b>გრაფიკი 9:</b> ძირითადი სარგებელი და დამატებული ღირებულების საქმიანობები .....	23
<b>გრაფიკი 10:</b> მეკალმახეობის კოოპერატივები რეგიონების მიხედვით.....	25
<b>გრაფიკი A 1:</b> საშუალო ფასი რეგიონების მიხედვით (2015 წლის მარტიდან 2016 წლის იანვრამდე).....	33

## **ცხრილებისა და ჩანართების ჩამონათვალი**

<b>ცხრილი 1:</b> მონაწილეების მიერ დამატებული ღირებულება თითოეულ რგოლზე (1 კგ. ახალ კალმახზე).....	23
<b>ცხრილი 2:</b> დანახარჯები და სარგებელი მეკალმახეობის ფერმისა, რომელიც სტაბილურად აწარმოებს 10 ტ. კალმახს წელიწადში .....	24
<b>ცხრილი 3:</b> საქართველოს კალმახის სექტორის SWOT-ანალიზი გვიჩვენებს სექტორის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს.....	27
<b>ცხრილი 4:</b> ურთიერთობები ღირებულებათა ჰორიზონტალურ ჯაჭვში .....	28
<b>ცხრილი 5:</b> ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ჯაჭვში.....	29
<b>ცხრილი A 1:</b> მოთამაშეების მიერ დამატებული ღირებულება კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ბოლოში .....	33
<b>ცხრილი A 2:</b> გამოკითხული ადამიანების სია .....	34
<b>ჩანართი A 1:</b> მეკალმახეობის სექტორში ჩართულ პირთა რეგიონული ფორუმის კომუნიკე ..	35

## განმარტება

ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ადამ პელილოს, ფატი მამარდაშვილს, ერიკ ლივინსა და ლაშა ლანჩავას სასარგებლო კომენტარებისა და შეთავაზებებისთვის.

გულწრფელ მადლობას ვუხდით ყველა მეკალმახე ფერმერს, კოოპერატივს, კალმახის საკვების იმპორტიორს, ექსპერტს, სამთავრობო სტრუქტურას, არასამთავრობო ორგანიზაციასა და სხვებს, რომელთაც დრო დაგვითმეს ინტერვიუებისათვის. გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ყველა მათგანს თანამშრომლობისა და სასარგებლო ინფორმაციის მონოდებისთვის.

შეუძლებელია ყველა იმ ადამიანის, ორგანიზაციისა და ინსტიტუტის ჩამოთვლა, რომლებიც დაგვეხმარნენ კვლევისას, თუმცა გვსურს, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ქვა საერთაშორისოს კავკასიაში, რეგიონული განვითარების ასოციაციასა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციას.

ტექსტში არსებულ ყოველგვარ უზუსტობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს.

## აბრევიატურები და აკრონიმები

B&B	საოჯახო ტიპის სასტუმრო
CARE	კოოპერაცია ხელის შეწყობისა და დახმარებისთვის
CIS	დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა
DCFTA	შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ
ENPARD	ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის
EU	ევროპის კავშირი (ევროკავშირი)
FAOSTAT	სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის კორპორატიული სტატისტიკის მონაცემთა ბაზა
GEL	ქართული ლარი
Geostat	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
GSP	პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა
ISET	თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა
ITC	საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი
LTD	შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MoF	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MPIS	საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემა
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
SWOT	ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
UNDP	გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა
US	შეერთებული შტატები
WTO	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

## 1. შეჯამება

საქართველო მტკნარი წყლებით მდიდარი კავკასიური ქვეყანაა, რაც მას კარგ პოზიციაში აყენებს მთიან რეგიონში მაღალი ხარისხის კალმახის საწარმოებლად. თუმცა ქართული კალმახის სექტორს ჯერ კიდევ აქვს პრობლემები და რიგი შეზღუდვებისა, რაც აფერხებს მის შემდგომ განვითარებას.

აღნიშნული კვლევის მსვლელობისას, ჩავატარეთ როგორც საოფისე, ისე საველე სამუშაოები, გავაანალიზეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები და კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ინტერვიუები. ჩვენ, ასევე, შევისწავლეთ მეკალმახეობის კოოპერატივის „სამეგობრო 2014-ის“ შემთხვევა, რომელშიც დაწვრილებით ვმსჯელობთ იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც ბევრი მეკალმახე ფერმერი დგას ყოველდღიურად.

ჩვენი ანალიზის მიხედვით, საქართველოს კალმახის სექტორისთვის ყველაზე აქტუალური პრობლემა კალმახის ადგილობრივი საკვების წარმოების არარსებობა და იმპორტირებული საკვები პროდუქტების მაღალი ფასებია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ადგილობრივი ფირმების კონკურენტუნარიანობაზე. პროფესიული სასოფლო-სამეურნეო უნარ-ჩვევების, დაავადებათა კონტროლისა და

პრევენციის მექანიზმების, პროდუქციის დიფერენციაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური მოწყობილობების არარსებობა, ასევე, არის დარგის გამოწვევათა ჩამონათვალში.

გამოვლენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ჩვენ განვიხილეთ მეკალმახეობის პერსპექტივები, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები, რომლებიც, ჩვენი რწმენით, ყველაზე კარგად მიესადაგება კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის დაინტერესებული მხარეების ინტერესებს და, ამასთანავე, რეალისტურია განსახორციელებლად.

კერძოდ, ჩვენ მხარს ვუჭერთ კალმახის საკვების ადგილობრივ წარმოებას, პროფესიული ვეტერინარული მოვლისა და წყლის ხარისხის მართვის სერვისების შექმნას, პროფესიული განათლების ცენტრებისა და მეორე დონის მეკალმახეობის კოოპერატივების ჩამოყალიბებას.

გვჯერა, რომ ამ რეკომენდაციების შესრულების ხარისხი განსაზღვრავს საქართველოში კალმახის სექტორის მომავალ განვითარებას.



## 2. მეკალმახეობა საქართველოსა და მსოფლიოში

კალმახი არის საერთო სახელი, რომელიც აერთიანებს ორაგულისებრთა ოჯახის სხვადასხვა სახეობის თევზებს. საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახეობაა ცისარტყელა კალმახი (*Oncorbynchus mykiss*), რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს ორ ქვესახეობას: ჩვეულებრივი და ოქროსფერი ცისარტყელა კალმახი. ცისარტყელა კალმახი არის მაღალი ღირებულების თევზი, რომელსაც შეუძლია გაძლოს ცივ და ჟანგბადით მდიდარ წყალში. მისი ბუნებრივი საცხოვრებელი, ზოგიერთი გამოწვევის გარდა, მთის მდინარეებია. გენები, საცხოვრებელი პირობები (გარემოს ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობა – ძირითადად ჟანგბადის დონე წყალში და წყლის ტემპერატურა) და საკვები არის თევზის ვიზუალური იერსახის (ფერისა და ფორმის) მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორები. ჩვეულებრივი, ზრდასრული ცისარტყელა კალმახი დაახლოებით 2-3 კგ-ს იწონის; ის მაქსიმუმ 11 წელს ცოცხლობს.

ცისარტყელა კალმახი გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკისა და აზიის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე. სწორედ ამიტომ ფერმერები მას იცნობენ როგორც ამერიკულ კალმახს. ამ ტერიტორიიდან კალმახი გავრცელდა 82 ქვეყანაში, მკთ შორის საქართველოში, 1936-1940 წლებში<sup>2</sup>.

საქართველოში პოპულარულია მდინარის კალმახის სახეობებიც, განსაკუთრებით სპორტული თევზაობისთვის. მდინარის კალმახს სხეულზე აქვს წითელი ხალები. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მდინარის კალმახის რაოდენობამ საგრძნობლად იკლო საქართველოს მდინარეებში. მან გადაშენების პირას მყოფი სახეობის სტატუსი მიიღო და აღირიცხა ე.წ. „საფრთხეს ქვეშ მყოფი სახეობების წითელ ნუსხაში“<sup>3</sup>. ამ კვლევაში განხილული ცისარტყელა კალმახი ამჟამად საქართველოში მასობრივი წარმოებისა და მოხმარებისთვის გამოიყენება.

ზოგადად, მეკალმახეები თევზს ხელოვნურ აუზებში, ტბორებში ან აგზებში ამენებენ. წყლის რესურსად გამოიყენება მთის მდინარეები ან მიწისქვეშა წყლები. კალმახის ნორმალური გაზრდისთვის აუცილებელია ნათელი, სუფთა, ცივი და ჟანგბადით მდიდარი წყალი. წყლის ტემპერატურა (იდეალურ შემთხვევაში, 7-18 გრადუსი ცელსიუსი (გროსი, 2014 წ.) მნიშვნელოვან როლს თამაშობს კალმახის სხეულის მეტაბოლიზმის პროცესში. განსხვავებული ტემპერატურის პირობებში, კალმახი ნაკლებს იკვებება და ნელა იზრდება. ამასთან, მაღალი ტემპერატურის პირობებში,

ჟანგბადის ნაკლებობა ზრდის დაავადების რისკს (გროსი, 2014 წ.). მნიშვნელოვანი ფაქტორებია წყლის რაოდენობა, წყლის ნაკადის ძალა და სიჩქარე. ეს პარამეტრები კალმახის ფიზიკური ზომის შესაბამისად უნდა დარეგულირდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ კალმახის მოშენება ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა (ექსტენსიური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან განსხვავებით), სხვა ტიპის ინტენსიური ფერმერული საქმიანობების (მაგ.: საკვების ხორცად გარდაქმნა) მსგავსად, საკვები მაღალი ხარისხის კალმახის წარმოების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია (გროსი, 2014 წ.). ცისარტყელა კალმახს სიცოცხლის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სახის საკვები სჭირდება. აქედან გამომდინარე, კალმახის საკვების მწარმოებელი ფერმები რამდენიმე განსხვავებული სახის კალმახის საკვებს აწარმოებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ფერმერები სახლში დამზადებული საკვებით (სიმინდისა და ქაფშიასგან) ანაცვლებენ კომერციული კალმახის საკვებ პროდუქტებს. თუმცა ეს პრაქტიკა რეკომენდირებული არ არის, რადგან დაავადების გაჩენისა და თევზის დაკარგვის რისკთანაა დაკავშირებული. მეტიც, სახლში დამზადებული საკვების გამოყენება არაეფექტურია, რადგან, კომერციულად წარმოებულ საკვებ პროდუქტთან შედარებით, თევზის ზრდას ანელებს. გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ კომერციულად წარმოებული საკვები უფრო წარმატებული და მომგებიანია (ვლინარიჩი და სხვები, 2011 წ.).



ფოტო: ჩვეულებრივი და ოქროსფერი ცისარტყელა კალმახის სახეობები

<sup>1</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. <http://www.fishbase.org/Summary/speciesSummary.php?ID=239&AT=rainbow+trout>  
<sup>2</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. <http://www.promote.ge/2/fauna/tevzebi.html>  
<sup>3</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. [http://moe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=49&album\\_id=10&info\\_id=#seegal](http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=49&album_id=10&info_id=#seegal)

„ცისარტყელა კალმახი არის უნიკალური მტაცებელი თევზი, რომელსაც შეუძლია გადარჩეს მხოლოდ ცივ, გამდინარე წყალში. მას ესაჭიროება ცილის მაღალი შემცველობის საკვები და ჟანგბადით გამდიდრებული წყალი. იგი შეიცავს ელემენტს „ომეგა-3“, რომელიც ძალიან კარგია ჯანმრთელობისთვის. იგი გემრიელი და ნოყიერი საკვებია, არ აქვს შიდა კუნთების „Y“ ძვლები, მისი ქაბა ადვილი და უსაფრთხოა“ (კარკი, 2013 წ.).

კალმახი მთელ მსოფლიოში იწარმოება, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. საქართველოში, ბაზარზე გაბატონებული მოთხოვნის საპასუხოდ, თითქმის ყველა საკალმახე მეურნეობა ორიენტირებულია თევზის ზომა კალმახის მოშენებაზე (200-300 გრ.). საქართველოში 6-12 თვე სჭირდება კალმახს, რომ გასაყიდ ზომას მიაღწიოს. ქართულ სამზარეულოში კალმახის კერძები (განსაკუთრებით ისინი, რომელთა დამზადებასაც დამუშავებული კალმახის ხორცი სჭირდება) ძალიან იშვიათია. მას უმეტესად შემწვარი ან მოხარშული სახით მოიხმარენ. ჩვენი საველე კვლევის შეფასებით, 2015 წლის მდგომარეობით, საქართველო 2000-2500 ტ. კალმახს მოიხმარდა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO)

2010 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო 450-600 ტ. კალმახს მოიხმარდა (ხავთასი და სხვები, 2010 წ.). სამართლიანია, აღვნიშნოთ, რომ კალმახის მოხმარების კულტურას საქართველოში აქვს ზრდის პოტენციალი.

ცისარტყელა კალმახის მთავარი მწარმოებლები არიან: ევროკავშირი, ჩილე, ნორვეგია, თურქეთი და ირანი. 2014 წლის ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის (ITC) მონაცემების მიხედვით, კალმახის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნებია: ნორვეგია, შვედეთი, დანია, იტალია და ესპანეთი, მთავარი იმპორტიორები კი – რუსეთის ფედერაცია, ბელორუსი, ფინეთი და პოლონეთი.

### 3. კვლევის არეალი

კვლევის ძირითადი მიზანია პოლიტიკის შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს კალმახის სექტორის კონკურენტუნარიანობა გაუმჯობესდება. ჩვენ ვაანალიზებთ და აღვწერთ საქართველოში კალმახის სექტორის სრულ ღირებულებათა ჯაჭვს (დასავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონებზე ყურადღების გამახვილებით). ამ მიზნით, გთავაზობთ პოლიტიკის სხვადასხვა მიდგომებს, რომელთა მიზანი სექტორის ზოგადი პროდუქტიულობის გაზრდაა.

კერძოდ, მოცემული კვლევის მიზანია:

- კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის არსებული ფორმების ანალიზი სამიზნე მუნიციპალიტეტებში;
- წარმოების ხარჯების, მასთან დაკავშირებული ხარჯებისა და მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვის დამატებული ღირებულების გამოანგარიშება წარმოებიდან ბაზრის დინამიკის დასრულებამდე;
- არსებული კალმახის სექტორის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესწავლა (ე.წ. SWOT-ანალიზი);
- ფერმერთა მარჯის გაზრდის მიზნით, მასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დამატებული ღირებულებების გათვალისწინებით, ღირებულებათა ჯაჭვის ეფექტიანობის გაზრდის მიდგომების შეთავაზება;
- ბაზრის სიდიდის, წილისა და სეზონური ტრენდების გათვალისწინებით, კალმახის მიწოდებისა და მოთხოვნის არსებული სისტემის გაანალიზება;
- მეკალმახეობის ფერმების არსებული ინფრასტრუქტურის მოკლე შესწავლა და შეფასება, მათი მდგრადი განვითარებისთვის საჭირო ზომების დადგენა;
- მოსაზრებების განხილვა, თუ როგორ შეიძლება ჩაერთოს პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარე (მთავრობა, კერძო სექტორი, დონორები და სხვ.);
- კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ რგოლებზე მონაწილეთა შორის ურთიერთობების პრობლემებისა და ხარისხის შეფასება, მათ შორის სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს (მაგ.: წარმოების საშუალებების მიმწოდებლები, მომსახურების მიმწოდებლები, მწარმოებლები, მოვაჭრეები, ექსპორტიორები, იმპორტიორები,

მთავრობა, დონორი ორგანიზაციები და სხვ.) შორის დინამიკის შეფასება;

- კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ კავშირებში პოტენციური საწარმოების (მაგ.: კოოპერატივების) დადგენა, სადაც მცირე მწარმეებმა შეიძლება შეასრულონ გადამწყვეტი როლი და ჰქონდეთ სამართლიანი წილი მთლიან ღირებულებათა ჯაჭვში;
- ფერმერთა ჯგუფების მოზიდვისთვის საჭირო სტრატეგიების შეთავაზება, რათა გაიზარდოს ინვესტიციები კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის საწარმოებში.

კვლევის მიზნების გათვალისწინებით, ჩვენ ჩავატარებთ შემდეგი სამუშაოები:

- მეორად მონაცემებსა და დაინტერესებული მხარეების ინტერვიუებზე დაყრდნობით, ჩავატარებთ დასავლეთ საქართველოს კალმახის ბაზრის SWOT-ანალიზი;
- ლიტერატურაზე, მეორად მონაცემებსა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ავსახეთ კალმახის ღირებულებათა ჯაჭვი (ნაკადებისა და ქსელური რუკებით);
- განვსაზღვრეთ რეგიონში კალმახის მწარმოებელი მთავარი ფერმები;
- აღვწერეთ ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთკავშირები კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებს შორის;
- დავადგინეთ საშუალო საკალმახე მეურნეობის ხარჯები და სარგებელი;
- შევაფასეთ დამატებული ღირებულება კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის თითოეულ რგოლზე;
- სტატისტიკურ მონაცემებზე, მომხმარებელთა კვლევასა და დაინტერესებული მხარეების ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ჩავატარებთ კალმახის ბაზრის (მათ შორის საბაზრო ფასების) ანალიზი;
- კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შევიმუშავებთ გარკვეული რეკომენდაციები.

#### 3.1 მეთოდები და მიდგომები

მოცემული ანგარიში ეფუძნება საოფისე და საველე კვლევებს. კვლევისთვის, ასევე, საინტერესო იყო 2015 წლის დეკემბერში, ქ. ქუთაისში, ქეას კონსორციუმის მიერ (ქეა

საერთაშორისო კავკასიაში, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი, რეგიონული განვითარების ასოციაცია და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია) ჩატარებული კალმახის სექტორის დაინტერესებული მხარეების პირველი ფორუმი. ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის, კერძო საწარმოების (ე.წ. მეკალმახეობის კოოპერატივებისა და მეურნეობების), საქართველოს მეთევზეთა ასოციაციების, ვეტერინარიის, წარმოების საშუალებების მიმწოდებლებისა და დონორების წარმომადგენლები.

კვლევაში სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის სტრუქტურა და კონკურენტუნარიანობა გაანალიზებულია ვიზუალურად (ნაკადების სქემებსა და ქსელურ რუკებზე დაყრდნობით) და ისეთი აღწერითი ტექნიკის გამოყენებით, როგორცაა SWOT-ანალიზი, კონტექსტის ანალიზი და ღირებულებათა წილების შეფასება ჯაჭვის თითოეულ რგოლზე. მონაცემების წყაროები მოიცავს როგორც ლიტერატურულ კვლევებს, სტატისტიკურ დოკუმენტებს (საქსტატი, ITC, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები), პირდაპირ დაკვირვებებსა და ინტერვიუებს, ისე ზემოთ ხსენებულ ფორუმზე გამართულ მსჯელობებსაც.

3.2 საოფისე სამუშაოები

სამაგიდო კვლევა გულისხმობდა სტატისტიკური მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებას ისეთი წყაროებიდან, როგორცაა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MPIS მონაცემები), საქსტატი, FAOSTAT-ისა და ITC-ის მონაცემები, საქართველოს კალმახის სექტორის კვლევები, ასევე საერთაშორისო პრაქტიკები და საქართველოს კალმახის ასოციაციიდან მიღებული ინფორმაცია. ძალიან დაგვეხმარა ზოგიერთი კალმახის სექტორის ადგილობრივი დაინტერესებული მხარე (ფერმერები და კალმახის საკვების იმპორტიორები), რომელთაც მოგვანოდეს ინფორმაცია საქართველოში ამ სექტორისა და წლების განმავლობაში მისი განვითარების ტენდენციების შესახებ.

3.3 სავალე სამუშაოები

2015 წლის მაისსა და ივნისში, ჩვენ ვესტუმრეთ საკალმახე მეურნეობებს სამიზნე მუნიციპალიტეტებში, დასავლეთ საქართველოში<sup>4</sup> და ჩავატარეთ ინტერვიუები მეკალმახე ფერმერებთან. სხვა დაინტერესებული მხარეები გამოვკითხეთ 2015 წლის შემოდგომაზე (მაგ.: წარმოების საშუალებებისა და მომსახურების მიმწოდებლები,

ასოციაციების წარმომადგენლები და სხვ.). ნახევრად სტრუქტურირებული და პირდაპირი ინტერვიუები ჩავატარეთ კალმახის მწარმოებელ ფერმერებთან, მომუშავეებთან, კოოპერატივის წევრებთან და დირექტორებთან, კალმახის მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენლებთან, წარმოების საშუალებების მიმწოდებლებთან, მათ შორის საკვების იმპორტიორებთან და ვეტერინარული მომსახურების მიმწოდებლებთან, ექსპერტებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

3.4 შეზღუდვები

აღსანიშნავია, რომ საკალმახე მეურნეობებსა და საქართველოში კალმახის წარმოებასა თუ მოხმარებაზე ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები ხშირად შეზღუდული ხარისხისაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სავალე კვლევა დაგვეხმარა რამდენიმე საკითხის დაზუსტებაში, კალმახის სექტორის მაკრო (ეროვნული) დონის მონაცემებსა და მწარმოებლების, იმპორტიორებისა და ექსპორტიორების მიკრო (მეურნეობების) დონის სააღრიცხვო მონაცემებზე არსებული მტკიცებულებები ჯერ კიდევ შეზღუდულია. ხსენებული მონაწილეები (განსაკუთრებით კალმახის მწარმოებლები) იშვიათად აწარმოებენ ზუსტ საბუღალტრო ჩანაწერებს.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული კვლევა არის საქართველოს კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის გაანალიზების იშვიათი მცდელობა და მიზნად ისახავს დასავლეთ საქართველოში კალმახის სექტორის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ მკითხველთა ცნობიერების ამაღლებას.

3.5 კვლევის არეალი


საქართველო მთიანი და ცივი წყლის რესურსებით (მდინარეებით, წყაროებითა და მიწისქვეშა წყლებით) მდიდარი ქვეყანაა, ამიტომ საკალმახე მეურნეობები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშია გავრცელებული. მოცემული კვლევის საოფისე სამუშაოებმა მოიცვა მთლიანად საქართველო, სავალე კვლევა კი მხოლოდ ქეას კონსორციუმის (კოოპერაცია ხელის შეწყობისა და დახმარებისთვის პროექტის ფარგლებში) სამიზნე მუნიციპალიტეტებზე იყო ფოკუსირებული (სადაც ENPARD-ის პროექტი, რომელიც მხარს უჭერს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას, ხორციელდება ქეას კონსორციუმის მიერ). ეს მუნიციპალიტეტებია: გურიის ყველა მუნიციპალიტეტი – ოზურგეთი, ლანჩხუთი და ჩოხატაური; სამეგრელო-ზემო სვანეთის

<sup>4</sup> სამიზნე მუნიციპალიტეტების რუკა იხ. მომდევნო გვერდზე, გრაფიკი 1.

ოთხი მუნიციპალიტეტი – აბაშა, ხობი, სენაკი და მარტვილი; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები. ჩვენ ვესტუმრეთ კალმახის

წარმოებაში ჩართულ ყველა მეურნეობას, მათ შორის მეკალმახეობის კოოპერატივებსა და მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედ შპს-ებს.

გრაფიკი 1: ქეას კონსორციუმის სამიზნე (გამუქებული) მუნიციპალიტეტების რუკა



მეკალმახეობის ფერმები, უმეტესად, ამ რეგიონების მთიან ნაწილებში გვხვდება.



ფოტო: ბუნებრივი სილამაზე სოფ. ქულბაქის მეკალმახეობის ფერმის გარშემო. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი, ცაგერის მუნიციპალიტეტი.

## 4. საქართველოში კალმახის საქტორის ანალიზი

### 4.1 კალმახის წარმოება საქართველოში

საქართველოში კალმახის წარმოების ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. თუმცა ჩვენი სავსელე კვლევებიდან ცნობილი გახდა, რომ კალმახის საკვების იმპორტის რაოდენობა თითქმის ერთი-ერთში შეესაბამება წარმოებული კალმახის რაოდენობას (1 კგ. საკვების მიცემა სჭირდება 1კგ. კალმახის გამოზრდას). კალმახის საკვების სხვადასხვა იმპორტიორებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გავიგეთ ისიც, რომ საქართველოში ყოველწლიურად 2000-2500 ტ. კალმახის საკვები შემოდის. შესაბამისად, ჩვენი უხეში გამოთვლებით, 2015 წელს საქართველოში კალმახის წარმოება 2000-2500 ტ-ს უტოლდებოდა.

რაც შეეხება კალმახის მწარმოებელ რეგიონებს საქართველოში, 2015 წელს ჩვენი სამიზნე მუნიციპალიტეტები დაახლოებით 300 ტ. კალმახს აწარმოებდნენ. დასავლეთ საქართველოში აჭარა კალმახის მწარმოებელი ერთ-ერთი მთავარი რეგიონია, აღმოსავლეთ ნაწილში კი შიდა ქართლი და სამცხე-ჯავახეთი დომინირებენ.


### 4.2 კალმახის ექსპორტი და იმპორტი

გრაფიკი 2 ასახავს კალმახის ექსპორტისა და იმპორტის ევოლუციას 2009-2015 წლებში. აღსანიშნავია, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, საქართველო კალმახის წმინდა იმპორტიორი ქვეყანა იყო. ხაზგასასმელია ისიც, რომ 2014 წლამდე საქართველოში ფიქსირდებოდა ნულოვანი ექსპორტი, 2015 წლიდან კი შეიმჩნევა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ზრდა.



ფოტო: ს. ვაკისჯვრის საკალმახე მეურნეობა. გურიის რეგიონი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

გრაფიკი 2: საქართველოში კალმახის იმპორტისა და ექსპორტის ევოლუცია ღირებულების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მეკალმახეებს არ აქვთ მასობრივი წარმოებისთვის საჭირო ფინანსური და ლოჯისტიკური შესაძლებლობები. მაშინ რამ განაპირობა 2015 წელს მომხდარი ცვლილება? 2015 წლის თავსატეხის უკეთ გასაგებად უნდა შევხედოთ ექსპორტირებული და იმპორტირებული კალმახის კატეგორიებს.

2015 წელს საქართველოდან ექსპორტზე ექსკლუზიურად გადიოდა მხოლოდ გაყინული კალმახი (123 ტ., რომლის ღირებულება 714 ათასი აშშ დოლარი იყო). ქართველ

ფერმერებს აქვთ შეზღუდული ლოჯისტიკური შესაძლებლობები, როგორცაა, მაგალითად, გაყინვისთვის საჭირო მოწყობილობები, რომლებიც კალმახის საექსპორტო ბიზნესში კალმახის კარგად გასაყინადაა საჭირო. თავსატეხიც სწორედ აქ იჩენს თავს.

გრაფიკ 3-დან ნათლად ჩანს, რომ გაყინულ კალმახს მნიშვნელოვანი წილი უჭირავს 2015 წლის იმპორტში, მასზე მოდიოდა კალმახის მთლიანი იმპორტის 35% (214 ტ., როლის ღირებულებაც 567 ათასი აშშ დოლარი იყო).

გრაფიკი 3: კალმახის თითოეული კატეგორიის წილი 2015 წლის მთლიან იმპორტში




წყარო: საქსტატი

თუ კალმახის მოწინავე იმპორტიორ ქვეყნებსა და მოწინავე საექსპორტო დანიშნულების ქვეყნებს კარგად დავაკვირდებით, შეიძლება თავსატეხის ამოხსნაც შევძლოთ.

გრაფიკი 4-ის მიხედვით, 2015 წელს, სავაჭრო ღირებულების მიხედვით, კალმახის მოწინავე იმპორტიორი ქვეყნები იყო: ნორვეგია, ჩილე, თურქეთი და დანია.


გრაფიკი 4: 2015 წელს საქართველოში კალმახის იმპორტიორი ქვეყნები სავაჭრო ღირებულების მიხედვით



წყარო: საქსტატი

გრაფიკი 5-ის თანახმად, 2015 წელს, კალმახის ქვეყანა რუსეთი იყო ექსპორტის ღირებულების მიხედვით, მთავარი

გრაფიკი 5: 2015 წელს საქართველოდან კალმახის ექსპორტიორი ქვეყნები სავაჭრო ღირებულების მიხედვით



წყარო: საქსტატი

მიგვაჩნია, რომ კალმახის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულების უჩვეულო ზრდა უბრალო დამთხვევაა. კერძოდ, 2015 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციამ აკრძალა სურსათის იმპორტი სკანდინავიის ქვეყნებიდან (ნორვეგიიდან და დანიიდან). ვინაიდან 2015 წელს ნორვეგია და დანია საქართველოში კალმახის მონიშნულ იმპორტიორ ქვეყნებს




შორის იყვნენ, საქართველოდან კი ყველაზე მეტი კალმახი ექსპორტზე სწორედ რუსეთში გადიოდა, ადვილი მისახვედრია, რომ ეს თავსატეხი სხვა არაფერია თუ არა რე-ექსპორტის უბრალო ზრდა. ამიტომ ეს ზრდა არ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს საკალმახე მეურნეობების პროდუქტიულობის ზრდად.

4.3 კალმახის ფასი

გრაფიკი 6 ასახავს კალმახის ფასის ევოლუციას 2015 წლის მარტიდან 2016 წლის

იანვრამდე. ვხედავთ, რომ საცალო ფასი ქართულ ბაზარზე შედარებით სტაბილურია მთელი წლის განმავლობაში და 1 კგ. კალმახის ფასი 11-12 ლარის ფარგლებში მერყეობდა. რეგიონში კალმახის საშუალო ფასებზე ინფორმაცია მოცემულია დანართში, გრაფიკ A1-ში. კალმახის ყველაზე მაღალი საშუალო ფასი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმში, ყველაზე დაბალი კი შიდა ქართლში, რაც განაპირობა რეგიონში წარმოების მაღალმა მოცულობებმა.

გრაფიკი 6: ახალი კალმახის საშუალო თვიური ფასები (2015 წლის მარტიდან 2016 წლის იანვრის ჩათვლით)



წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო

კალმახის საშუალო საცალო ფასისგან გასხვავებით, რომელიც მეტ-ნაკლებად სტაბილურია წლის განმავლობაში, მეკალმახე ფერმერების ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საბითუმო ფასი სეზონურად იცვლება. მეკალმახე ფერმერების უმეტესობას რეალიზებადი კალმახი ზაფხულის დასაწყისში აქვს. ფერმაში შექმნილი 1 კგ.

კალმახის საბითუმო ფასი 6 ლარამდე ეცემა. დაბალი წარმოების სეზონებში 1 კგ. კალმახის საბითუმო ფასი დაახლოებით 8 ლარია.

საქართველოში კალმახის ძირითადი ბაზარი თბილისია. საცალო ფასი თბილისში 9-12 ლარის ფარგლებში მერყეობს (შესაბამისად, ზაფხულისა და ზამთრის პერიოდებში).

### 5. ძირითადი ეტაპების აღწერა

ჩვენ განვსაზღვრეთ საქართველოში კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ოთხი ძირითადი ეტაპი:

1. წარმოება
2. ტრანსპორტირება/ დამუშავება
3. მარკეტინგი/ ექსპორტი
4. მოხმარება (ძირითადად მთლიანი კალმახი, დანაწევრების გარეშე/თეფშის ზომის)

კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ეტაპების დეტალური აღწერისთვის იხ. გრაფიკ 7-ზე მოცემული ქსელური რუკა.

წარმოების ეტაპებს შორის ჩვენ გამოვყოფთ შემდეგ ნაბიჯებს:

- ქვირითის წარმოება
- ლიფსიტის წარმოება
- მოზარდული კალმახის წარმოება
- სუფრის კალმახის წარმოება

ვინაროვიჩისა და სხვათა (2011 წ.) აზრით, დამწყებებისთვის არაარის რეკომენდირებული ქვირითის წარმოება, რომელიც ძალიან დელიკატური პროცესია და მოითხოვს სპეციფიკურ უნარ-ჩვევებსა და მეურნეობის განსაკუთრებულ მართვას. უკეთესი სტრატეგიაა ქვირითის შესყიდვა გამოცდილი ფერმებისგან, რომლებიც სპეციალიზდებიან ქვირითის წარმოებაში.

როგორც წესი, მცირე მეკალმახეები აწარმოებენ მხოლოდ ერთი ტიპის პროდუქციას – სამაგიდე, იგივე სუფრის კალმახს. ისინი ყიდულობენ ქვირითს, ლიფსიტას ან მოზარდულ კალმახს, რადგან, პროფესიული უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი ლოჯისტიკის სიმწირის გამო, არ შეუძლიათ მთლიანი საწარმოო ხაზის მართვა. ფერმების მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია, ერთ საწარმოო ხაზში გააერთიანოს წარმოების ყველა ან რამდენიმე პროცესი (ვერტიკალური ინტეგრაცია).

კვების პროცესი, თავის მხრივ, საკმაოდ დელიკატურია. ფერმერმა უნდა გაითვალისწინოს თევზის ქცევა. მაგალითად, ცისარტყელა კალმახი განთქმულია აგრესიული ქცევით. შეიძლება შეჭამოს თავისი სახეობის კალმახიც. ამიტომ საჭიროა, სხვადასხვა ზომის კალმახის სხვადასხვა აუზებში დახარისხება.

ძალიან მნიშვნელოვანია აუზებში საკვების სიმეტრიული განაწილებაც. გარდა ამისა, საკვები უნდა ინახებოდეს მღრღნელებისგან დაცულ, მშრალ ადგილას, რათა ტენმა არ დააზიანოს.


საკალმახე მეურნეობისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დაავადებათა კონტროლის სათანადო მექანიზმების ქონა. მოცემული საკითხი მოითხოვს რამდენიმე პარამეტრის მუდმივ ზედამხედველობას, რათა დავრწმუნდეთ გარემოს სტაბილურობასა და საჭირო პირობების არსებობაში.

უმეტეს შემთხვევაში, მეკალმახეები იყენებენ ადგილობრივად წარმოებულ ლიფსიტას. სხვებს კი ქვირითი (ან ლიფსიტა) საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. საწარმოო ეტაპის დასრულების შემდეგ, ფერმერები გადადიან მარკეტინგის ეტაპზე. ზოგი ფერმერი კალმახს ყიდის საქართველოში საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით, სხვები კი – საკუთარ რეგიონში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბითუმად მოვაჭრეები და მომხმარებლები კალმახს პირდაპირ ფერმებიდან ყიდულობენ.

თითქმის არც ერთი ქართული ფერმა არ სპეციალიზდება კალმახის დამუშავებაში. შედეგად, ადგილობრივ ბაზრებზე მხოლოდ ცოცხალი (ან ახალი) თევზი იყიდება. ასევე, შესაბამისი ტექნოლოგიის, საშუალებებისა და დამუშავების შესაძლებლობების სიმწირის გამო, ქართველი მეკალმახეები ექსპორტზე მხოლოდ ცოცხალ კალმახს უშვებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილობრივ ბაზარზე კალმახის მოხმარების შესახებ მონაცემები არ არსებობს. ჩვენი კვლევის თანახმად, 2015 წელს, საქართველომ 2000-2500 ტ. კალმახი მოიხმარა. სავარაუდოდ, ხალხი მოიხმარს სუფრის კალმახს, სახლში შემწვარს ან მოხარშულს ან კაფეებსა და რესტორნებში. კალმახის სექტორის ექსპერტების აზრით, ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოში კალმახის მოხმარების (და წარმოების) ტრენდი იზრდებოდა. თუმცა ქვეყანაში კალმახის კერძებისა და მრავალფეროვანი კალმახის პროდუქტების წარმოების ნაკლებობაა.

გრაფიკი 7: ქსელური რუკა გვიჩვენებს საქართველოში კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ყველა დაინტერესებულ მხარესა და ეტაპს



## 6. გარემო

ამ ნაწილში ჩვენ განვსაზღვრავთ გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს ან აქვს პოტენციალი, გავლენა მოახდინოს საქართველოში კალმახის სექტორის განვითარებაზე.

### 6.1 საჯარო უწყებები

საქართველოს მთავრობამ 2016 წელი აკვაკულტურის წლად გამოაცხადა. ხელისუფლებას აქვს საქართველოში მეთევზეობის სექტორის (მათ შორის კალმახის სექტორის) განვითარების გეგმა. კერძოდ, შავ ზღვაზე თევზჭერის ლიცენზიას მიიღებენ კომპანიები, რომლებიც საქართველოში ააშენებენ კალმახის საკვების მწარმოებელ ქარხანას. ამასთან, მთავრობა გეგმავს, წაახალისოს მაცივრებისა და გადამამუშავებელი საშუალებების შექმნა.

### 6.2 განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები

საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, ზოგიერთმა დონორმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ უკვე დაიწყო კალმახის სექტორის მხარდაჭერა. წამყვანი პროექტია ENPARD საქართველო, რომელიც ფინანსურად და ტექნიკურად ეხმარება მეკალმახეობის კოოპერატივებს. ENPARD-ის პროექტს ახორციელებს ოთხი კონსორციუმი (და UNDP აჭარის რეგიონში). ქეას კონსორციუმი ეხმარება მეკალმახეობის სამ კოოპერატივს.

### 6.3 საქართველოში ასოციაციები

ამ სექტორში უკვე მუშაობს მეკალმახეთა ასოციაცია, თუმცა საჭიროა მისი გაძლიერება, რათა უკეთ დაიცვას სექტორის ინტერესები და დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს სექტორის განვითარებაში.

### 6.4 ფინანსური ინსტიტუტები

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ბანკები საქართველოში კარგადაა განვითარებული, თუმცა აგრარულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები მაინც ძალიან მაღალია. ძალიან მაღალია გირაოს ღირებულებაც და

მეკალმახეთა უმეტესობას ხელი არ მიუწვდება მათზე. იშვიათად, მაგრამ გვაქვს მეკალმახე ფერმერების მიერ შეღავათიანი კრედიტების მიღების შემთხვევებიც (მხოლოდ ერთი შემთხვევა ჩვენს სამიზნე მუნიციპალიტეტებში).

### 6.5 კვლევითი ინსტიტუტები/ საგანმანათლებლო ცენტრები

საქართველოში არ არსებობს აკვაკულტურის კვლევითი ინსტიტუტი ან ცენტრი. ამ მხრივ მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელია ჯეოვეტი. მათ ჰყავთ პროფესიონალი ვეტერინარები და დაავადების სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტები. თუმცა, ჯეოვეტის წარმომადგენლის თქმით, ძალიან ბევრი რამ აკლია სექტორს განვითარებისთვის. პირველ რიგში, არ არსებობს სათანადო ლაბორატორია, სადაც კალმახის დაავადებების შესწავლა და მეკალმახე ფერმერებისთვის დაავადებებთან ბრძოლისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა იქნება შესაძლებელი. ქვეყანაში პროფესიონალი იხტიოლოგების ნაკლებობაა. ზოგადად, კვლევით და ცოდნის ცენტრებს აქვთ სერიოზული პრობლემები, როდესაც საქმე მსოფლიოში საკალმახე მრეწველობის თანამედროვე მოთხოვნებზე ფეხის აწყობას ეხება.

### 6.6 საერთაშორისო სავაჭრო გარემო/ლოჯისტიკა

საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (World Trade Organization – WTO) წევრი. გარკვეული შეღავათებით სარგებლობს ევროკავშირთან ვაჭრობის დროსაც (DCFTA), ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები მოქმედებს დსთ-ის ქვეყნებსა და თურქეთთან. საქართველო სარგებლობს ტარიფების პრეფერენციულ განზოგადებული სისტემით (Generalized System of Preferences – GSP) აშშ-თან, ნორვეგიასთან, შვეიცარიასთან, კანადასა და იაპონიასთან. სავარაუდოდ, წელს დასრულდება თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია). მეტიც, გასულ წელს დაიწყო თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები ჩინეთთან. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ადგილობრივი მეკალმახე ფერმერი შიშობს, რომ ორმხრივმა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებამ

შეიძლება განაპირობოს კონკურენციის ზრდა და ტრადიციული ბაზრების დაკარგვა.

საქართველოში საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურა ზოგადად კარგად არის განვითარებული, მაგრამ კალმახის დიდ მანძილზე გადატანისთვის საჭიროა სპეციალური მაცივრები (მაგ.: შოკური ტიპის მაცივრები), რომელიც ამჟამად თითქმის არ არსებობს.

## 6.7 სერთიფიცირების სააგენტოები

არსებობს ადგილობრივი ორგანიზაცია (შპს კავკასსერტი), რომელსაც აქვს ორგანული სერთიფიკატის გაცემის უფლება, თუმცა არა კალმახისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთი საჯარო უწყება შეღავათიან ფასებში გასცემს მოკლევადიან საექსპორტო სერთიფიკატებს ფერმერებზე/მოვაჭრეებზე.

## 7. ძირითადი სარგებელი და დამატებული ღირებულების საქმიანობები

გრაფიკი 8 გვიჩვენებს ღირებულებათა ჯაჭვის მოხმარებამდე. ეტაპების თანმიმდევრობას წარმოებიდან

გრაფიკი 8: კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ნაკადების სქემა



### 7.1 მონაწილეების დამატებული ღირებულება თითოეულ რგოლზე

#### 7.1.1 ფერმერი

ფასი, რომელსაც ფერმერი იღებს ფერმაზე გაყიდული 1 კგ. კალმახისთვის, 6-8 ლარის ფარგლებში მერყეობს, სეზონებისა და რეგიონების მიხედვით. თითოეული კილოგრამი პროდუქციის წარმოების ღირებულება ძნელად შესაფასებელია მეურნეობის დონეზე სააღრიცხვო დოკუმენტების ნაკლებობის გამო. თუმცა, ჩვენი გამოთვლებით, 1 კგ. კალმახის წარმოების ღირებულება 5 ლარამდეა.

საწარმოო ხარჯების უდიდესი წილი მოდის კალმახის საკვებზე. 1 კგ. კალმახის საწარმოებლად საჭიროა 1 კგ. საკვები, რაც მთლიანი საწარმოო ხარჯების 70%-ს შეადგენს (დიდი მეურნეობების შემთხვევაში, ეს წილი ნაკლებია, დაახლოებით 60-65%). წარმოების სხვა ხარჯები მოიცავს: ლიფსიტას (ზოგ შემთხვევაში, ქვირითის) შესყიდვას, წყლის ლიცენზიასა და ქონების გადასახადს, ვეტერინარულ მედიკამენტებსა და მკურნალობას, შრომის ღირებულებას, ტრანსპორტირების (წარმოების საშუალებების ან პროდუქციის) ღირებულებასა და საექსპლუატაციო ხარჯებს. მე-8 ქვეთავში წარმოდგენილ ცხრილ 2-ში ნაჩვენებია ფერმერის ხარჯები და სარგებელი, რომელიც 10 ტ. კალმახს აწარმოებს, დაშვებით, რომ 1 კგ. კალმახის საშუალო ფასი 7 ლარია<sup>5</sup>.

#### 7.1.2 ბითუმად მოვაჭრე

ბითუმად მოვაჭრე 1 კგ. კალმახს, საშუალოდ,

7 ლარად ყიდულობს ფერმაზე და მიაქვს საბითუმო ბაზრებზე ან სპეციალურ აუზებში, სადაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინახავს მას და მოთხოვნის შესაბამისად აწვდის ბაზარს. ბითუმად მოვაჭრე 1 კგ. კალმახს დაახლოებით 9 ლარად ყიდის, ტრანსპორტირებისა და შრომის ხარჯები დაახლოებით 0.5 ლარია.

#### 7.1.3 ცალობით მოვაჭრე

საქართველოში კალმახის რამდენიმე ცალობით მოვაჭრეა, მათ შორისაა ღია ბაზრობები, სუპერმარკეტები, ჰიპერმარკეტები, კაფეები და რესტორნები (რომელშიც უკვე მომზადებულ კალმახის კერძებს გვთავაზობენ: შემწვარი ან მოხარშული სახით) და სასტუმროები. ფასი, რომელსაც მომხმარებელი იხდის 1 კგ. კალმახში, განსხვავდება იმის მიხედვით ცოცხალი (ახალი) კალმახი შეიძინა (შემდეგ მოსამზადებლად) თუ რესტორანში მომზადებული კალმახის კერძი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, 1 კგ. კალმახის ფასი 30-35 ლარის ფარგლებში მერყეობს<sup>6</sup>. თუმცა ჩვენი კვლევის სამიზნე პროდუქტი ბაზარზე გასაყიდი ახალი კალმახია.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ აღნიშნული რიცხვები უხეში გამოთვლებია და პრაქტიკაში, ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე ფასები საკმაოდ არაერთგვაროვანია (ზოგი ფერმერი ჰყიდის ლიფსიტასა და ქვირითს და შემოსავლების პორტფელი დივერსიფიცირებული აქვს). ცხრილ 1-სა და გრაფიკ 9-ზე ნაჩვენებია დამატებული ღირებულების საქმიანობების შეჭამება მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვის გასწვრივ.


<sup>5</sup> ფასების მერყეობა (რეგიონებისა და სეზონების მიხედვით) მოცემულია დანართში, გრაფიკ A1-ზე.

<sup>6</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1 სუფრის კალმახი ქართულ ბაზარზე 200-300 გრამს იწონის, 1 მომზადებული კალმახის ფასი კი, საშუალოდ, 6-7 ლარია.

ცხრილი 1: მონაწილეების მიერ დამატებული ღირებულება თითოეულ რგოლზე (1 კვ. ახალ კალმასზე)

ღირებულებათა ჯაჭვის ეტაპი	პროდუქტის გასაყიდი ღირებულება (ლარი)	ხარჯები (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)
	5			
ფერმერი	7	5	2	2
ბითუმად მოვაჭრე	9	7.5	1.5	2
ცალობით მოვაჭრე	11	9.5	1.5	2
მთლიანი დამატებული ღირებულება				6

გრაფიკი 9: ძირითადი სარგებელი და დამატებული ღირებულების საქმიანობები



კალმასის ღირებულებათა ჯაჭვში მოგების მარჯა ერთი შეხედვით საკმაოდ მიზიდველია. მაგალითად, ფერმერების მოგების მარჯა 28%-ია. სავლელ კვლევის მონაცემების მიხედვით, მოგების მარჯა ბითუმად მოვაჭრეებისთვის 17%-ია, ცალობით მოვაჭრეებისთვის კი – 14%. როდესაც საქმე დამატებულ ღირებულებას ეხება, ცალობით მოვაჭრეები ამტკიცებენ, რომ კალმასის ღირებულებათა ჯაჭვში

34% დამატებული ღირებულებისა მოდის მათზე, როდესაც ბითუმად მოვაჭრეებსა და ფერმერებზე მოდის ღირებულების 33% და 33%, შესაბამისად.

მოგების მარჯა და დამატებული ღირებულება კალმასის კერძების ბიზნესში (მაგ.: კაფეები, რესტორნები) კიდევ უფრო მაღალია (იხ. ცხრილი A1 დანართში).

8. მეკალმახეობის ფერმის დანახარჯები და სარგებელი

8.1 დანახარჯები და სარგებელი მეკალმახეობის ფერმისა, რომელიც სტაბილურად აწარმოებს 10 ტ. კალმახს წელიწადში

1 კგ. კალმახის საწარმოებლად<sup>7</sup>, უხეში გამოთვლებით, საჭიროა 1 კგ. კალმახის

საკვები. საკვების ფასი 3.5-4<sup>8</sup> ლარია კილოგრამზე, გაცვლითი კურსის მერყეობის გათვალისწინებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკვებზე მოდის კალმახის საწარმოო ხარჯების ყველაზე დიდი წილი. ამასთან, არსებობს სხვა დანახარჯებიც, რომლებიც ცხრილ 2-შია წარმოდგენილი.

ცხრილი 2: დანახარჯები და სარგებელი მეკალმახეობის ფერმისა, რომელიც სტაბილურად აწარმოებს 10 ტ. კალმახს წელიწადში

დანახარჯები	ხარჯები 1კგ. კალმახზე (ლარი)	მთლიანი ხარჯები 10 ტონის შემთხვევაში (ლარი)	1 კგ. კალმახის პროცენტული წილი მთლიან საწარმოო ხარჯებში
ლიფსიტა (ან ქვირითი)	0.25	2,500	5%
კალმახის საკვები	3.5	35,000	70%
წყლის ლიცენზია და ქონების გადასახადი	0.10	1,000	2%
ვეტერინარული მედიკამენტები/ მკურნალობა	0.15	1,500	3%
შრომის ღირებულება/ხელფასები	0.25	2,500	5%
წარმოების საშუალებების ტრანსპორტირება და კალმახის დისტრიბუცია	0.50	5,000	10%
სხვა ხარჯები (მაგ.: აუზების შეკეთება და სხვ.)	0.25	2,500	5%
<b>სულ</b>	<b>5</b>	<b>50,000</b>	<b>100%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>ფასი 1 კგ-ზე (ლარი)</b>	<b>მთლიანი გაყიდვა (კგ.)</b>	<b>მთლიანი შემოსავალი (ლარი)</b>
ფერმაზე შესყიდვის საშუალო ფასი	7	10,000	70,000
მოგება	მთლიანი ლარებში		
მთლიანი მოგება	20,000		
გადასახადი (20%)	0 <sup>9</sup>		
წმინდა მოგება	20,000		
წმინდა მოგების მარჟა	28%		

<sup>7</sup> ძირითადად იყიდება 200-300-გრამიანი კალმახი (ე.წ. სუფრის კალმახი)  
<sup>8</sup> 2015 წლის დეკემბერი, USD/GEL გაცვლითი კურსის ფარგლებში - 2.40.  
<sup>9</sup> კალმახის პირველადი წარმოება გათავისუფლებულია საგადასახადო კოდექსით.




## 9. მეკალმახეობის კოოპერატივები

2015 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში მეთევზეობის 19 კოოპერატივია დარეგისტრირებული, რომელთაგან 15 კალმახის მწარმოებელი კოოპერატივია.

დეტალური ინფორმაცია ამ კოოპერატივების განაწილების შესახებ რეგიონების მიხედვით იხილეთ გრაფიკი 10-ზე.

გრაფიკი 10: მეკალმახეობის კოოპერატივები რეგიონების მიხედვით



წყარო: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. 2015 წლის ოქტომბრის მონაცემები.

### შეთხვევის ანალიზი<sup>10</sup> სამეგობრო 2014

სოფ. ჩხაკაურა მდებარეობს ულამაზეს ხეობაში ნაბეღლავსა და ბახმაროს შორის. რამდენადაც ლამაზია სოფელი, იმდენად მივარდნილია. გზის ბოლო, 1.5 კმ-იანი მონაკვეთი სასაცხლოდ ოღოროლო და ტალახიანია. უახლეს 4WD-საც კი დაახლოებით ნახევარი საათი სჭირდება ამ მანძილის დასაფარად. გზის ბოლოს დაღლილი მგზავრი ხვდება ამ უკაცრიელი ადგილისთვის ერთი შეხედვით სრულიად შეუფერებელი სანახაობის მოწმე.

სტუმარს სოფელში შემოსვლისთანავე თვალში მოხვდება უამრავი აუზი, სადაც 21-იდან 46 წლამდე ასაკის 5 მამაკაცი გართულია მეკალმახეობის მეურნეობის მართვით. „სამეგობრო 2014“ არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც ცისარტყელა კალმახის წარმოებაში სპეციალიზდება. კოოპერატივი 2014 წელს ჩამოყალიბდა ოთარ გიორგაძის ხელმძღვანელობით და დღემდე

ამ საქმიტაა დაკავებული. კოოპერატივის ჩამოყალიბების გზა ისეთივე ოღოროლო და მოულოდნელობებით აღსავსე იყო, როგორც სოფლამდე მისასვლელი გზა.

ყველაფერი 2005 წელს დაიწყო, როდესაც ოთარმა თავის პარტნიორთან, ბაკურთან ერთად საკალმახე ბიზნესი დაიწყო. ფერმა ოთარის იყო, ბაკური კი ძირითადად ბიზნესის ფინანსურ დახმარებაზე ზრუნავდა. 2010 წელს ბაკურმა ბიზნესის ახალ და უფრო ხელმისაწვდომ ადგილზე გადატანა და მისი გაფართოება გადაწყვიტა. მან ოთარს ახალ ფერმაში მუშაობა შესთავაზა. თუმცა ოთარს საკუთარი ფერმის ქონა სურდა და სოფლის დატოვებას ვერ ბედავდა. პარტნიორისთვის უარის თქმა ადვილი არ ყოფილა, რადგან ეს გადაწყვეტილება ნიშნავდა ყველა იმ მანქანასა და საშუალებაზე უარის თქმას, რომლებიც ბაკურის დახმარებით შეიძინა. ოთარი ხვდებოდა, რომ ეს ორჭოფობა მას ბიზნესის ნულიდან დაწყებად დაუჭდებოდა.

თუმცა, ოთარი თავის აზრზე რჩებოდა. შიშველი ხელებითა და მოძველებული ტექნოლოგიით,

<sup>10</sup> კვლევის წინა ვერსია გამოქვეყნდა ISET Economist-ში და ხელმისაწვდომია ბმულზე: <http://iset-pi.tsu.ge/index.php/en/publications/iset-economist-blog2/entry/agricultural-cooperatives-fishing-for-competitiveness>

მაგრამ მისი შრომისმოყვარე მეგობრების გულითადი მხარდაჭერით, ოთარი დღე და ღამე მუშაობდა მისი პატარა ფერმის უწყვეტი არსებობის უზრუნველსაყოფად. მან რჩევისთვის მიმართა გამოცდილ მეკალმახე ფერმერებს აჭარაში, რომელთაგანაც საკალმახე ბიზნესის დაბრკოლებების შესახებ ბევრი რამ შეიტყო და ისწავლა. თავდადება, დაულაღვმა შრომამ და გუნდურმა სულისკვეთებამ შედეგი გამოიღო და ერთი წლის შემდეგ ოთარის ფერმა უკვე 1.5 ტ. კალმახს აწარმოებდა. ისინი ვერ გადარჩებოდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ წარმატებაზე, ერთამენთის დახმარების გარეშე თავიანთი რთული ბიზნესის ყველა ასპექტში – თევზის უკაცრიელ ადგილას მოშენებასა და ბაზარზე გატანაში. მათთვის თანამშრომლობა ცხოვრების წესია.

გუნდური მუშაობის ფასის შეცნობამ და საქართველოს კანონმდებლობაში 2013 წელს მოულოდნელი ცვლილებების შეტანამ ოთარი და მისი გუნდი წააქეზა, 2014 წელს ფორმალურად დაერეგისტრირებინათ კოოპერატივი, სახელწოდებით „სამეგობრო 2014“. მეტიც, მათ განაცხადი შეიტანეს და პირველივე ეტაპზე შეირჩნენ კიდევაც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) დაფინანსებისა და ტექნიკური მხარდაჭერისთვის. დაბრუნებადმა გრანტმა, 70,000 ლარის ოდენობით, ჯგუფს განახლებისა და გაფართოების, ასევე კალმახის გადასატანად და საკვების მოსატანად „პიკაპის“ ტიპის სატვირთოს შეძენის საშუალება მისცა.

ახალმა ტექნოლოგიებმა საშუალება მისცა მეურნეობას, კალმახის წარმოება 2014 წელს 6 ტონამდე, 2015 წელს კი 11 ტონამდე გაეზარდა. ENPARD-ის დახმარებით შეძენილმა „პიკაპმა“ კი საშუალება მისცა გუნდის წევრებს, დროულად მიეწოდებინათ პროდუქტი. ENPARD-ის გრანტი გადამწყვეტი აღმოჩნდა ოთარის ფერმისთვის ქვირითის, ინკუბირებული ლიფსიტას შეძენისა და ბაზარზე მათი სხვადასხვა პროდუქტად გატანის შესაძლებლობის გაჩენისთვისაც.

კოოპერატივი ბითუმად მოვაჭრეების მეშვეობით კალმახს ყიდის თბილისისა და ბათუმის ბაზრებზე. ოთარის თქმით, ფასი, რომელსაც ისინი 1 კგ. კალმახში იღებენ, საკმაოდ სტაბილურია მთელი წლის განმავლობაში და 7-8 ლარს შეადგენს. 2015 წელს მათ შეძლეს გაეფორმებინათ გაყიდვის ხელშეკრულებები ქუთაისის რამდენიმე რესტორანსა და სასტუმროსთან.

ზაფხულის განმავლობაში, კოოპერატივი კალმახს მეზობლად მდებარე ტურისტულ კურორტზე, ბახმაროშიც ყიდის. მათ ბახმაროში ორი გასაყიდი პუნქტი აქვთ. კალმახზე მოთხოვნის პიკი ივლის-აგვისტოშია. ამ პერიოდში კოოპერატივი დღეში 50 კგ. გაყიდულ

კალმახს აღრიცხავს. ოთარის თქმით, მათ 19 აგვისტოს 100 კგ. კალმახის გაყიდვა შეძლეს, რადგან ამ დღეს არის რელიგიური და სახალხო დღესასწაული, რომელზეც უამრავი სტუმარი იყრის თავს და დღის კულმინაცია საღამოს გამართული ცნობილი ფესტივალია. ოთარის ფერმას გაყიდვის პუნქტი სოფ. ნაბელღავეშიც აქვს, სადაც ისინი დღეში, საშუალოდ, 10-15 კგ. კალმახს ყიდიან.

ისეც ხდება, რომ მომხმარებლები თავად სტუმრობენ ფერმას კალმახის შესაძენად, ხანდახან დიდი რაოდენობით ქორწილებისა და დაკრძალვებისთვის.

ოთარის თქმით, მოთხოვნის კლება ნოემბერში იწყება, პიკს კი ახალ წელს აღწევს.

მეკალმახეობის ფერმის საქმიანობისთვის მთავარი საწარმოო საშუალება საკვებია. სამეგობრო იყენებს იტალიურ ან თურქულ საკვებს, რომელთაგანაც, მათი თქმით, იტალიური უკეთესია.

კიდევ ერთი მთავარი საწარმოო საშუალება ქვირითია, რომელიც ქედაში, კოხში ან ოზურგეთში იყიდება. კოოპერატივი აპირებს ქვირითის ინკუბატორის შეძენას და საკუთარი ქვირითის წარმოების დაწყებას.

მომავლის სხვა გეგმებს რაც შეეხება, კოოპერატივი გეგმავს წარმოების მასშტაბების გაზრდას წელიწადში 20 ტონამდე და თბილისში დიდ სუპერმარკეტებთან ხელშეკრულებების გაფორმებას.

დაბოლოს, კოოპერატივი გეგმავს აგროტურიზმის განვითარებას – პატარა B&B დაწესებულების აშენებას იმ ვიზიტორებისთვის, ვინც დაიტერესებულია სუფთა, ჯანსაღი წყლით, კალმახზე თევზაობითა და სულისშეკვრელი მთის პეიზაჟებით.



ფოტო: მეკალმახეობის ფერმა სოფ. ჩხაკურაში. გურიის რეგიონი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

10. SWOT-ანალიზი

ცხრილი 3: საქართველოს კალმახის სექტორის SWOT-ანალიზი გვიჩვენებს სექტორის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• უხვი, მაღალი ხარისხის წყალი კალმახის საწარმოებლად;</li> <li>• ბუნებრივ წყაროებში წარმოებულ კალმახს აქვს განსაკუთრებული გემო;</li> <li>• ძირითადი საკვები ინგრედიენტი (ქაფშია) ადგილობრივად ხელმისაწვდომია;</li> <li>• კალმახი გემრიელი, ძალიან ნოყიერი საჭმელია (სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის); მისი ჭამა უსაფრთხო და ადვილია (ფხის მარტივ სტრუქტურის გამო);</li> <li>• კალმახის სექტორი სოფლის მოსახლეობას აძლევს დასაქმების შესაძლებლობას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კარგი ხარისხის ადგილობრივად წარმოებული საკვების ნაკლებობა;</li> <li>• საკვების მაღალი ფასი და გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასების მერყეობა;</li> <li>• დაავადებათა კონტროლის შესახებ არანაირი გამოცდილება და ცოდნა; კვლევითი და დაავადების პრევენციის ლაბორატორიის არარსებობა;</li> <li>• პრიმიტიული აუზის აღჭურვილობა განთავსებულია ნიადაგში, უმეტესად ცემენტის გარეშე; თანამედროვე აღჭურვილობების/ მოწყობილობების ნაკლებობა;</li> <li>• გარეული ცხოველებისგან დაცვის არარსებობა;</li> <li>• მეთევზეობის ფერმერებისთვის სპეციალიზებული სადაზღვევო პაკეტების არარსებობა;</li> <li>• გამოცდილი და კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა; მართვის უნარ-ჩვევების ნაკლებობა;</li> <li>• კალმახის ფერმების უუნარობა, უზრუნველყონ სტაბილური და გრძელვადიანი მიწოდება;</li> <li>• პროდუქტის დივერსიფიკაციის არარსებობა;</li> <li>• ცუდი ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები და სხვ.);</li> <li>• საბანკო სესხებზე/კრედიტებზე შეზღუდული წვდომა;</li> <li>• სექტორში ინსტიტუციური განვითარების ნაკლებობა (ხედვის ნაკლებობა, ასოციაციების არარსებობა).</li> </ul>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• პროდუქტის დივერსიფიკაცია (ქვირითი, ლიფსიტა, და კალმახის სხვა პროდუქტი: გაყინული, შებოლილი, დაკონსერვებული და სხვ.);</li> <li>• კალმახის შიდა ბაზარზე მზარდი მოთხოვნა; ქვეყანაში კალმახის მოხმარების კულტურის განვითარება;</li> <li>• მიმზიდველი გარემო მეკალმახეობის ფერმების გარშემო (მთები) იძლევა ფერმებში აგროტურიზმის განვითარების საშუალებას;</li> <li>• ორგანული კალმახის წარმოებისა და DCFTA-ის ფარგლებში ევროკავშირის ბაზრებისა და სხვა პრემიუმ ბაზრებისთვის მიწოდების შესაძლებლობა;</li> <li>• მთავრობის აკვაკულტურის განვითარების ინიციატივით შეიძლება ისარგებლოს კალმახის სექტორმა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცხოველების თავდასხმები;</li> <li>• ფასების მერყეობა როგორც წარმოების საშუალებებზე, ისე პროდუქციაზე;</li> <li>• წყლის ტემპერატურისა და ხარისხის მიმართ დაუცველობა;</li> <li>• ცვლილებები კანონმდებლობაში – მიწის გადასახადები, წყლის ლიცენზიები და სხვ.;</li> <li>• ბუნებრივი კატასტროფები, მაგ.: წყალდიდობა;</li> <li>• დაბალი ფასები მეზობელ ქვეყნებთან კონკურენციის გამო.</li> </ul>

11. მთავარი მოთავაშები და მათი ურთიერთკავშირები<sup>11</sup>

11.1 ურთიერთობები ღირებულებათა ჰორიზონტალურ ჯაჭვში

ქვემოთ მოცემულ ცხრილ 4-ში წარმოდ- ჰორიზონტალური ღირებულებათა ჯაჭვის გენილია ინტერვიუების განმავლობაში, კავშირები. კალმახის სექტორში იდენტიფიცირებული

ცხრილი 4: ურთიერთობები ღირებულებათა ჰორიზონტალურ ჯაჭვში

ურთიერთობა	ურთიერთობის აღწერა
<b>წარმოების საშუალებებისა და მომსახურების მიწოდებას შორის (მომუშავეებს შორისაც)</b>	წარმოების საშუალებების მიმწოდებლებს შორის საკმაოდ კონკურენტული გარემოა (საკვები, ქვირითი, ლიფსიტა, ვეტერინარული მომსახურება, წყალი და სხვ.). საშუალებების ხარისხი დაბალია, ფასები – მაღალი (რეაგირებს ლარის გაუფასურებაზე, რადგან საკვები და ვეტ-მედიკამენტები იმპორტირებულია. ზოგ შემთხვევაში ქვირითი და ლიფსიტაც იმპორტირებულია). ყველა საკრედიტო მიმწოდებელი (ბანკები ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები) საკმაოდ კონკურენტუნარიანია, მაგრამ აქვთ ფერმერებისთვის ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთები და მოითხოვენ მაღალი ღირებულების უზრუნველყოფას (მაგ.: სახლი/ბინა ქალაქში). მეკალმახე ფერმერებისთვის არ არსებობს სადაზღვევო პაკეტი. დეფიციატია თანამედროვე ცოდნის მქონდე კარგი იხტიოლოგიც.
<b>ფერმერებს შორის</b>	საქართველოში გვხვდება სამი სახის საკალმახე მეურნეობა: მცირე, საშუალო და მსხვილი. ფერმერების უმეტესობა მცირეა (შინამეურნეობის დონეზე) ან საშუალო (კოოპერატივის დონეზე). არსებობს ერთადერთი მსხვილი საკალმახე მეურნეობა გურიის რეგიონში, რომელიც „ნიკორას“ სუპერმარკეტების ქსელის შვილობილი კომპანიაა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ფერმერული ჯგუფები ინარჩუნებენ ახლო ურთიერთობებს და თანამშრომლობენ კალმახის წარმოების შესახებ ცოდნის გაზიარებაში. თუმცა ისინი იშვიათად (თითქმის არასდროს) თანამშრომლობენ მარკეტინგის დონეზე.
<b>ბითუმად მოვაჭრეებს შორის</b>	ურთიერთობები მათ შორის საკმაოდ კონკურენტულია, რადგან ყველა მათგანი ცდილობს, მაღალი ხარისხის კალმახი შეისყიდოს დაბალ ფასად.
<b>ცალობით მოვაჭრეებს შორის</b>	ცალობით მოვაჭრეები არიან მოვაჭრეები, რომლებიც პროდუქტებს ღია ბაზრებზე ან მინი/სუპერ და ჰიპერმარკეტებში ყიდიან. ამ დონეზე კონკურენცია ძალიან მაღალია.
<b>მომხმარებლებს შორის</b>	შიდა ბაზარზე დომინირებს ადგილობრივი ცოცხალი კალმახი (200-გრამიანი სუფრის კალმახი). მთიანი რეგიონების კალმახი, გემოს მიხედვით, განსაკუთრებით ფასობს მომხმარებლებში, მაგრამ არ არსებობს რაიმე ეტიკეტი, რომელიც მთის კალმახის იდენტიფიცირებაში დაეხმარება მომხმარებელს. სხვა სახის კალმახის (გაყინული, შებოლილი, ფილე და გრილად შენახული) ბაზრებზე დომინირებს იმპორტირებული პროდუქტები.

<sup>11</sup> წყარო: მოცემული კავშირების ცხრილები აღებულია ი. კოჭლამაზაშვილისა და სხვათა ქართული ცხვრის ღირებულებათა ჯაჭვის (2014 წ.) და ლ. სორგის ქართული თხილის ღირებულებათა ჯაჭვის (2012 წ.) კვლევებიდან.

11.2 ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ჯაჭვში

ქვემოთ მოცემულ ცხრილ 5-ში წარმოდ- ვერტიკალური ღირებულებათა ჯაჭვის გენილია ინტერვიუების განმავლობაში, კავშირები. კალმახის სექტორში იდენტიფიცირებული

ცხრილი 5: ურთიერთობები ღირებულებათა ვერტიკალურ ჯაჭვში

ურთიერთობა	ურთიერთობის აღწერა
<p><b>წარმოების საშუალებების, მომსახურების მიწოდებასა და ფარმარებს შორის</b></p>	<p>მცირე ფერმები შინამეურნეობებს ეკუთვნის და იშვიათად ქირაობენ აგრარულ მუშახელს. საშუალო და მსხვილი ფერმები ქირაობენ დამატებით მუშახელს. სამუშაო ძალის ხარისხი დაბალია. ოფიციალური ხელშეკრულებებიც იშვიათად გამოიყენება. ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად (ან ყოველდღიურად).</p> <p>წარმოების საშუალებებს (საკვები, ქვირითი, ვეტერინარული მომსახურება და სხვ.) ბევრი სხვადასხვა ორგანიზაცია სთავაზობს ფერმერებს, თუმცა ხშირად მიუწვდომელ ფასად. მეკალმახე ფერმერებისთვის დღეს მთავარი შებლუდვა იმპორტირებულ კალმახის საკვებზე გაზრდილი ფასია (ლარის გაუფასურების გამო). აგრარული სესხები ძალიან ძვირია და მაღალი ღირებულების გირავნობას მოითხოვს. მართალია, მთავრობა სთავაზობს ფერმერებს იაფ აგრარულ სესხებს, მაგრამ ეს სესხები ბანკების მეშვეობით გაიცემა და ფერმერებს უამრავი სირთულე ხვდებათ, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო.</p>
<p><b>ფარმარებსა და ბითუმად მოვაჭრებს შორის</b></p>	<p>ფერმერებსა და ბითუმად მოვაჭრებს შორის ურთიერთობები საკმაოდ კარგია. თუმცა გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება მაინც პრობლემატური შეიძლება იყოს. კრედიტით ყიდვა და ამ კრედიტების დროულად გადახდა პრობლემას არ წარმოადგენს. ფერმერებისთვის შეთავაზებული დაბალი ფასები შეიძლება გახდეს პრობლემა. ხანდახან მხარეები წინასწარ განიხილავენ და ათანხმებენ კალმახის ფასსა და მიწოდების განრიგს.</p>
<p><b>ბითუმად და ცალობით მოვაჭრებს შორის</b></p>	<p>ურთიერთობა ბითუმად და ცალობით მოვაჭრებს შორის კარგი და ბიზნესზე ორიენტირებულია.</p>
<p><b>კალმახის ცალობით მოვაჭრებსა და მომხმარებლებს შორის</b></p>	<p>ახალი კალმახის (და, ზოგადად, თევზის) გაყიდვა ხშირად ღია ბაზრებზე ხდება, სადაც ჰიგიენური ნორმები არ არის სათანადოდ დაცული. ასეთი პრობლემები არ გვხვდება საცალო გაყიდვების ისეთ ბაზრებზე, როგორცაა სუპერმარკეტები.</p>

## 12. კალმახის საქტორის შავლუდვაბი

ამ ნაწილში ჩვენ განვსაზღვრავთ იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ზღუდავს საქართველოში კალმახის საქტორის შემდგომ განვითარებას.

საქართველოს კალმახის საქტორისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური შეზღუდვა არის ადგილობრივი კალმახის საკვების წარმოების არარსებობა. შედეგად, ფერმერები იძულებულნი არიან, საკვები საზღვარგარეთიდან შემოიტანონ და გაწიონ მნიშვნელოვანი ხარჯები, რომლებიც, ჩვენი გამოთვლებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთლიანი საწარმოო ხარჯების 70%-ს შეადგენს. კალმახის იმპორტირებული საკვების მაღალი ფასები, რასაც ეროვნული ვალუტის ბოლოდროინდელი გაუფასურება კიდევ უფრო ამძაფრებს, ამცირებს საქართველოს კალმახის საქტორის კონკურენტუნარიანობას და კალმახის წარმოების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება.

კიდევ ერთი მთავარი პრობლემა საქტორში მწარმოებლების პროფესიონალიზმისა და გამოცდილების სიმწირეა. შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა იწვევს მთელ რიგ პრობლემებს. პირველ რიგში, ლიფსიტისა და ქვირითის წარმოების სტანდარტები ძალიან დაბალია, რასაც ემატება ლიფსიტას ძალიან მაღალი სიკვდილიანობა, რაც დამატებით ტვირთად აწვება ფერმერებს. მეტიც, ფერმერებს მნიშვნელოვან ზარალს აყენებს პროფესიონალური ვეტერინარული მოვლის საშუალებებისა და დაავადებათა პრევენციის მომსახურების არარსებობა. ბოლოს, ფერმერებს არ აქვთ საშუალება, მუდმივად აკონტროლონ წყლის ხარისხი და დააკმაყოფილონ წყლის ფიზიკური და ქიმიური მოთხოვნები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კალმახის ნორმალური განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ფერმერებს არ აქვთ მთელი წლის განმავლობაში წარმოების

მოწესრიგებისა და განაწილებისთვის საჭირო ცოდნა. პირიქით, ბაზარს ყველა ერთდროულად აწვდის პროდუქციას, რაც კალმახის ფასების დაცემას იწვევს. ცოდნის სიმწირე, ფინანსებთან ერთად, ზეგავლენას ახდენს ფერმერების პროდუქციის ბრენდირებისა და ბაზარზე გატანის შესაძლებლობაზეც. ამასთან, ფერმერები ვერ ახერხებენ გრძელვადიანი ხელშეკრულებების შენარჩუნებას მსხვილ საცალო გაყიდვების ბიზნესებთან. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ფერმერებს არ შესწევთ უნარი, სტაბილურად მიაწოდონ კალმახი პარტნიორებს.

საქტორის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც საველე კვლევის დროს გამოიკვეთა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გადამუშავების მოწყობილობების ნაკლებობაა, რაც ზღუდავს ფერმერებს საკუთარი პროდუქციის დიფერენცირებაში, რაც, თავის მხრივ, ასუსტებს მეკალმახეების სავაჭრო ძალაუფლებას. როგორც წესი, ქართველი ფერმერები აწარმოებენ 200-300-გრამიან ცოცხალ კალმახს. დიდი ზომის კალმახზე მოთხოვნის არარსებობისა და გადამუშავების შეზღუდული შესაძლებლობების გამო, ისინი იძულებულნი არიან, სწრაფადვე მოიშორონ წარმოებული პროდუქცია. პროდუქციის დიფერენცირების შეზღუდვები ხელს უშლის ადგილობრივ მწარმოებლებს, ექსპორტზე გაიტანონ კალმახი და გაზარდონ საკუთარი წილი ადგილობრივ ბაზარზე.

დაბოლოს, თითქმის ყველა ფერმერი ჩივის კაპიტალსა და სესხებზე ხელმისაწვდომობაზე. კალმახის წარმოების პროცესში არსებული მაღალი რისკის გამო (მაგ.: დაავადებები, წყალდიდობები, რაც ანადგურებს აქტივებს), ბანკები ხშირად მაღალი ღირებულების გირაოს ითხოვენ და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს აწესებენ სესხებზე, რის გამოც ეს სესხები ფერმერების უმეტესობისთვის არ არის ხელმისაწვდომი.

### 13. რეკომენდაციები კალმახის საქტორის განვითარებისთვის

წინა ქვეთავში ჩვენ მიერ იდენტიფიცირებულ რთულ საკითხებზე დაყრდნობით, გთავაზობთ ამ შეზღუდვების გადაჭრის რეკომენდაციებს.

ჩვენი კვლევის თანახმად, საქართველოს აქვს მაღალი ხარისხის შავი ზღვის ქაფში დიდი რესურსი, რაც შესაძლებელს ხდის ადგილობრივად კალმახის მაღალი ხარისხის საკვების წარმოებას გაცილებით დაბალ ფასად, რაც საბოლოოდ ფერმერებს შეუმცირებს საწარმოო ხარჯებს და, ზოგადად, გაზრდის კალმახის სექტორის კონკურენტუნარიანობას. ადგილობრივი კალმახის საკვების წარმოების სტიმულირებისთვის, რეკომენდებულია, ხელისუფლებამ მაღალი ხარისხის საკვების წარმოება ერთ-ერთ მოთხოვნად აქციოს შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მისაღებად, რაც, თავის მხრივ, თევზმჭერ კომპანიებს აიძულებს, ინვესტიციები ჩადონ საკვების წარმოებაში, მათ შორის კალმახის საკვების წარმოებაშიც.

რამდენადაც ვიცით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი გეგმავს, შექმნას კარგად აღჭურვილი ლაბორატორია, რომელიც შერჩევის პროცესის წარმართვის საშუალებას მოგვცემს, რაც საჭიროა მაღალი ხარისხის ლიფსიტას საწარმოებლად, რომელიც შემდგომ სერთიფიცირებულ ფირმებს მიეწოდებათ შემდგომი წარმოებისთვის უფრო დიდი მასშტაბით. ასევე საჭიროა ლაბორატორიის ტექნიკითა და პროფესიონალი პერსონალით აღჭურვა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება წყლის ხარისხის კონტროლსა და დაავადებების დროულად იდენტიფიცირებასა და პრევენციაზე. ეს მოითხოვს ადგილობრივ პროფესიონალთა ახალი თაობის აღზრდას, რისი მიღწევაც შესაძლებელია სპეციალურად მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების (ტრენინგების, პროფესიული განათლების სისტემის) მეშვეობით. მეტიც, სასარგებლო შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სხვა პროგრამებიც, მათ შორის საინფორმაციო ბროშურებისა და პოსტერების შექმნა, რომლებიც ფერმერებს საბაზისო ცოდნას მიაწვდის. ასეთი საგანმანათლებლო პროგრამების მიზანი უნდა იყოს მართვისა

და მარკეტინგის უნარ-ჩვევების არქონის აღმოფხვრა.

ტექნოლოგიური და ლიკვიდურობის შეზღუდვების გადასაღებად, მთავრობას შეუძლია შექმნას შეღავათიანი სესხების პროგრამა მეკალმახე ფერმერებისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, ინვესტიცია ჩადონ შოკური ტიპის მაცივრებსა (კალმახის დიდ მანძილზე გადატანისთვის საჭირო გასაყინი დანადგარი) და კალმახის გადამამუშავებელ დანადგარებში, რათა საბოლოოდ ჩაერთონ პროდუქციის დივერსიფიკაციაში (რაც მოიცავს გაყინული კალმახის, კალმახის ფილეს, შებოლილი კალმახის პროდუქტების, დაკონსერვებული კალმახისა და სხვ. წარმოებას). აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2016 წელი გამოაცხადა საქართველოში აკვაკულტურის განვითარების წლად. კალმახის სექტორს აქვს შანსი, ისარგებლოს შემოთავაზებული ინიციატივებითაც.

მეტიც, კალმახის მწარმოებლებს შეუძლიათ მეორე დონის კოოპერატივების შექმნით თავად გადადგან ზოგიერთი შეზღუდვის გაუქმებისთვის საჭირო ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ წარმოების საშუალებების მიწოდება, კალმახის გადამამუშავება, პროდუქციის დივერსიფიცირება და მარკეტინგი. ამასთან, ვინაიდან კალმახის იმპორტიორი ქვეყნები ითხოვენ დიდი რაოდენობით კალმახს, ცალკეულ ფერმერებს კი არ შეუძლიათ ასეთი მაღალი ხარისხის კალმახის მიწოდება, ფორმალურმა თანამშრომლობამ შეიძლება მოაგვაროს შეზღუდული მიწოდების პრობლემა.

მეკალმახეობის ფერმები უმეტესად ქვეყნის მთიან რეგიონებში გვხვდება. მეკალმახეობის ფერმების გარშემო არსებული თვალწარმტაცი გარემო ქმნის აგროტურიზმის განვითარების შესანიშნავ შესაძლებლობას. არაერთი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ, მეკალმახეობის ფერმების შემთხვევაში, ეს ბიზნესის გაფართოების კიდევ ერთი გზაა.

## ბიბლიოგრაფია

ს. გროსი (2014 წ.). აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობა და ექსპორტის წახალისების კვლევა. UNDP/ENPARD-ის პროექტი;

ჭ. ჰამფრი (2005 წ.). ღირებულებათა ჯაჭვების ფორმულირება სოფლის მეურნეობის გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების განვითარებისთვის. Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ);

რ. კაპლინსკი, მ. მორისი (2001 წ.). ღირებულებათა ჯაჭვის კვლევის სახელმძღვანელო (113-ე თავი). ოტავა: IDRC;

კ. ი. კარკი (2013 წ.). ცისარტყელა კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების გეგმა, პროექტი სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციისა და ვაჭრობის შესახებ, სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო, ნეპალი;

მ. ხავთასი, მ. მაკაროვა, ი. ლომაშვილი, ა. ფარცვანია, ტ. მოტ-პოულსენი, ა. ვონაროვიჩი. საქართველოში მეთევზეობისა და აკვაკულტურის განვითარების პოტენციალის მიმოხილვა. FAO Fisheries and Aquaculture Circular. No. 1055/1. რომი, FAO. 2010 წ.;

ი. კოჭლამაზაშვილი, ლ. სორგი, ბ. გონაშვილი, ნ. ჭანტურია, ფ. მამარდაშვილი (2014 წ.). ქართული ცხვრის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი. ეიფერ ინტერნეიშენალ საქართველო;

ლ. სორგი (2012 წ.). ქართული თხილის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი, სამაგისტრო ნაშრომი, ETH Zurich (Swiss Federal Institute of Technology Zurich);

ა. ვონაროვიჩი, გ. ჰოიტსი და ტ. მოტ-პოულსენი (2011 წ.). ცისარტყელა კალმახის მოშენება მცირე ზომის ფერმებში. FAO;

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)), მონაცემები აღებულია 2016 წლის 15 იანვარის მდგომარეობით;

Trade Map ([www.trademap.org](http://www.trademap.org)), მონაცემები აღებულია 2016 წლის 17 იანვარის მდგომარეობით;


საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ([www.moe.gov.ge](http://www.moe.gov.ge)), ბოლო ვიზიტი 2015 წლის 10 ნოემბერი, [http://moe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=49&album\\_id=10&info\\_id=#seegal](http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=49&album_id=10&info_id=#seegal)

“Oncorhynchus mykiss (Walbaum, 1792), ცისარტყელა კალმახი”, ბოლო ვიზიტი 2015 წლის 14 ნოემბერი, <http://www.fishbase.org/Summary/speciesSummary.php?ID=239&AT=rainbow+trout>



# დანართი

გრაფიკი A 1: საშუალო ფასი რეგიონების მიხედვით (2015 წლის მარტიდან 2016 წლის იანვრამდე)



წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ცხრილი A 1: მოთამაშეების მიერ დამატებული ღირებულება კალმახის ღირებულებათა ჯაჭვის ბოლოში

ღირებულებათა ჯაჭვის ეტაპი	1კბ. კალმახის გასაყიდი ფასი (ლარი)	ხარჯები (ლარი)	მოგება (ლარი)	დამატებული ღირებულება (ლარი)
	5			
ფერმერი	7	5	2	2
ბითუმად მოვაჭრე	9	7.5	1.5	2
ცალობით მოვაჭრე	11	9.5	1.5	2
რესტორნებში/კაფეებში მომზადებული კალმახი	30	16	14	19
მთლიანი დამატებული ღირებულება				25

ცხრილი A 2: გამოკითხული ადამიანების სია

<b>ვიზიტები (პირისპირ ინტერვიუები)</b>			
1	ოთარ გიორგაძე	კოოპერატივი სამეგობრო 2014 - მწარმოებელი	ჩოხატაური, ჩხაკაურა
2	ბაკურ შარაშიძე	მწარმოებელი	ჩოხატაური, ქვაბლა
3	ოთარ ჩხარტიშვილი	შპს აგია - მწარმოებელი	ობურგეთი, ვაკიჯვარი
4	ჭიმშერ ფრუიძე	მწარმოებელი	ცაგერი, საირმე
5	ალუდა კვირიკაშვილი	შპს ოსკარი - მწარმოებელი	ცაგერი, ჩხუტევი
6	გია გასვიანი	კოოპერატივი ქულბაქი - მწარმოებელი	ცაგერი, ქულბაქი
7	ივანე ზუროშვილი	საკვების იმპორტიორი	თბილისი
8	ლევან განჩილაძე	საკვების იმპორტიორი	თბილისი
9	მანუჩარ ცეცხლაძე	შპს ჯეოვეტი - ვეტერინარია	თბილისი
10	არჩილ ფარცვანია	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მეკალმახეთა ასოციაცია	თბილისი
<b>კალმახის სექტორში ჩართულ პირთა ფორუმი</b>			
1	დაახლოებით 70 მონაწილე	კალმახის სექტორის დაინტერესებული მხარეები	ქუთაისი

# ჩანართი A 1: მეკალმახეობის სექტორში ჩართულ პირთა რეგიონული ფორუმი კომუნიკე

2015 წლის 4 დეკემბერს ქ. ქუთაისში (სასტუმრო „ბაგრატი“) გაიმართა მეკალმახეობის სექტორში ჩართულ პირთა რეგიონული ფორუმი. ეს ფორუმი იყო ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კვლევითი ინსტიტუტის მიერ ქვა საერთაშორისოსთან, რეგიონული განვითარების ასოციაციასა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთობლივი თანამშრომლობით ორგანიზებული მეორე ღონისძიება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების დიალოგების სერიიდან, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროექტის – „თანამშრომლობა სოფლის კეთილდღეობისათვის საქართველოში“ – ფარგლებში.

ფორუმის მთავარი მიზანი იყო საქართველოში მეკალმახეობის დარგში არსებული პრობლემების გამოვლენა, მეკალმახეობის სექტორის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული წარმოების საშუალებების, მიმწოდებლების, ფერმერების, კოოპერატივების, ბაზრის შუამავლებისა თუ მომხმარებლების წინაშე არსებული დაბრკოლებებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, სექტორის პროდუქტიულობის გაუმჯობესება, ფერმერებისთვის ახალი ბიზნეს-შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მიმდინარე გეოპოლიტიკური სიტუაციის ანალიზი და ახალი საექსპორტო ბაზრების გამოვლენა, ქართული მეკალმახეობის სექტორის განვითარება და სწორად პოზიციონირება ბაზარზე.

ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ: გონა ცოფურაშვილი – სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გიორგი მიშელაძე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, ნინო ზამბახიძე – საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, ლაშა ლანჩავა – ISET-ის კვლევითი

ინსტიტუტი (ISET-PI), არჩილ ფარცვანია – საქართველოს მეთევზეთა ასოციაცია და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მანუჩარ ცეცხლაძე – შპს ჯეოვეტი, სილვია სანხუანი – ქვა საერთაშორისო კავკასიაში (CARE), ერიკ ლივნი – ISET-PI, გიორგი ლლონტი – ქვა საერთაშორისო კავკასიაში (CARE); კალმახის მწარმოებელი კოოპერატივების წარმომადგენლები (მათ შორის სამეგობრო-2014, ქულბაქი, ცისარტყელა, ქვაციხე-2015); სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის გამგებლები; კერძო სექტორის წარმომადგენლები (მათ შორის შპს ზორეთი, შპს შერგე, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი საქართველო).

ნინო ზამბახიძემ, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დისკუსიით გახსნა ფორუმი, რომელიც შეეხებოდა საქართველოში მეკალმახეობის სექტორის მნიშვნელობას. ლაშა ლანჩავამ, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტიდან, წარმოადგინა ფაქტები და ციფრები სექტორის შესახებ და ფორუმის მიზანი და სტრუქტურა. საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემის (სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ENPARD-ის პროექტის ფარგლებში, FAO-ს და ISET-ის კვლევით ინსტიტუტთან თანამშრომლობით შემუშავებული მონაცემთა შეგროვების სისტემა) უახლესი მონაცემების მიხედვით, 2015 წლის ნოემბერში საქართველოში ერთი კგ. კალმახის საშუალო საცალო ფასი 11 ლარი იყო.

შემდეგ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 მონაცემების გამოყენებით, ბატონმა ლანჩავამ შეაჯამა ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკა. მოწინავე საექსპორტო ქვეყანაა რუსეთის ფედერაცია.

მოწინავე კალმახის იმპორტიორი ქვეყნებია ნორვეგია, ჩილე, დანია და თურქეთი. გამოსვლის ბოლოს, ბატონმა ლანჩავამ ისაუბრა კალმახის ღირებულებათა ჯაჭვზე. არსებობს მთელი რიგი სექტორში ჩართული მოთამაშეებისა, მათ შორის კალმახის საკვების მიმწოდებლები/იმპორტიორები, ლიფსიტის, ქვირითის და ვეტერინარული მომსახურების მომწოდებლები; მცირე, საშუალო და დიდი მასშტაბის კალმახის ფერმები, 8 მეკალმახე კოოპერატივი; საცალო გამყიდველები და ექსპორტიორები.

ფორუმის დასაწყისში, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გონა ცოფურაშვილმა ხაზი გაუსვა მეკალმახეობის სექტორის წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებს. ბატონი ცოფურაშვილის განცხადებით, კალმახის საკვების ადგილობრივი წარმოების, სწორი ვეტერინარული მომსახურების, ხარისხიანი წყლის და დაავადების კონტროლის მექანიზმის, პროფესიონალი ფერმერების არსებობის, კალმახის წარმოებასთან დაკავშირებული შესაბამისი სტატისტიკის ნაკლებობა არის მთავარი დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის სექტორის განვითარებას. ბატონი ცოფურაშვილის თქმით: „ჩვენ ვერ ვიქნებით კონკურენტუნარიანები, თუ არ გვექნება ადგილობრივი კალმახის საკვების წარმოება“. შემდეგ მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა სამინისტროს სამუშაო სტრატეგიას. მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, მუშაობს საქართველოში მეთევზეობის ინდუსტრიის მხარდამჭერ სამუშაო გეგმაზე. კალმახის საკვების ადგილობრივი წარმოების წახალისების იმედით, მთავრობა გეგმავს, რომ საკვებწარმოება იყოს ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნათაგანი შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მიღებისას. ამასთანავე, ბატონი ცოფურაშვილის თქმით, ქართულმა მეკალმახეობის სექტორმა, რომელსაც

არ აქვს შესაძლებლობა, გავიდეს მსხვილმასშტაბიან ინდუსტრიულ წარმოებაზე, ფოკუსირება უნდა მოახდინოს მაღალი ხარისხის ქართული კალმახის ბრენდის ფორმირებაზე და მოემსახუროს საექსპორტო და მაღალი ხარისხის კალმახის ბაზრებს. სიტყვის ბოლოს, ბატონმა ცოფურაშვილმა აღნიშნა რომ ENPARD-ის ფარგლებში ჩატარებული ფერმერთა დიალოგების სერია ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ამ დროს ფერმერებს საშუალება ეძლევათ, დააფიქსირონ თავისი აზრი, რაც ხელს შეუწყობს მთავრობის მიერ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფორმირებას.

გიორგი მიშელაძემ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ, ისაუბრა თანამშრომლობის დადებით მხარეებზე კალმახის საკვების და მედიკამენტების შესყიდვის კუთხით. თუმცა სექტორის ბუნებიდან გამომდინარე, მისი შემოთავაზება იყო, რომ მეკალმახე ფერმერებისთვის უფრო ბუნებრივია, დააარსონ მეორე დონის კოოპერატივი, რომელიც ჩართული იქნება კალმახის გადამამუშავებაში, პროდუქტის დიფერენცირებასა და მარკეტინგში.

არჩილ ფარცვანიამ, რომელიც არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დარგობრივი განვითარების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წევრი, წარმოადგინა ქართული მეკალმახეობის სექტორის ღრმა ანალიზი. ბატონი ფარცვანიას თქმით, საქართველოში არის სამი კატეგორიის კალმახის მწარმოებელი ფერმა: მცირე ზომის ფერმები, აჭარის რეგიონში არსებული ფერმები, რომელთაც კომბინირებული აქვთ კალმახის წარმოება და ტურიზმი და დიდი ზომის ფერმები, კარგად ჩამოყალიბებული განვითარების გეგმით. ეს ფერმები აწარმოებენ ერთი კატეგორიის პროდუქტს (250 გრ-იან ცოცხალ

კალმახს). ბატონი ფარცვანია გამოეხმაურა წინა მომხსენებლების ნათქვამს, რომ პროდუქციის დივერსიფიკაციის ნაკლებობა არის ქართული მეკალმახეობის სექტორის წინაშეარსებული ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა.

შემდეგ ბატონმა ფარცვანიამ ისაუბრა სექტორის მარკეტინგულ პოტენციალზე. მისი თქმით, საქართველოს აქვს მტკნარი წყლის მნიშვნელოვანი რესურსები, რაც მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის ადგილობრივი წარმოებისთვის. არჩილის აზრით, ქართველ მწარმოებლებს აქვთ პოტენციალი, სრულიად ჩაანაცვლონ იმპორტი და მიიღონ მოგება. თუმცა ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ქართველი ფერმერები ისწავლიან თავიანთი პროდუქციის დივერსიფიცირებას.

ბატონი ფარცვანია შემდეგ გადაერთო სექტორში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე და მათი მოგვარების გზებზე. იმპორტირებული კალმახის საკვების მაღალი ფასის გამო არჩილის რეკომენდაციაა, შეიქმნას კალმახის საკვების წარმოების ადგილობრივი ხაზი; მაღალი ხარისხის შავი ზღვის ქაფშიაზე ხელმისაწვდომობა შესაძლებელს გახდის მაღალი ხარისხის კალმახის საკვების ადგილზე წარმოებას უფრო დაბალ ფასად, რაც საგრძნობლად შეუმცირებს ფერმერს წარმოების დანახარჯს და, ზოგადად, გაზრდის მეკალმახეობის სექტორის კონკურენტუნარიანობას. კიდევ ერთი პრობლემა, რომლის წინაშეც დგას სექტორი, არის ლიფსიტის წარმოების დაბალი სტანდარტები, რასაც ადასტურებს სიკვდილიანობის მაღალი დონე. ეს, ერთის მხრივ, გამოწვეულია პროფესიონალიზმისა და ლიფსიტის მწარმოებლების მხრიდან გამოცდილების ნაკლებობით. ამ პრობლემების საპასუხოდ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი გეგმავს კარგად აღჭურვილი თანამედროვე ლაბორატორიის შექმნას,

სადაც შესაძლებელი იქნება შერჩევის პროცესის ჩატარება, რომელიც აუცილებელია მაღალი ხარისხის ლიფსიტის საწარმოებლად, რომელიც შემდეგ მიეწოდება სერთიფიცირებულ ფერმებს შემდგომი წარმოებისთვის უფრო დიდ მასშტაბებზე.

მანუხარ ცეცხლაძემ, უფროსმა ვეტერინარმა ჯეოვეტიდან, ასევე, ისაუბრა კალმახის საკვების ადგილობრივად წარმოების საჭიროებაზე. მან წინ წამოწია ახალი თაობის ადგილობრივი პროფესიონალების აღზრდის/ ჩამოყალიბების სისტემის მნიშვნელობა, პროფესიონალების ჩართულობა აუცილებელია გენეტიკურად ძლიერი, ქართული მეკალმახე ფერმების სხვადასხვა გარემო-პირობებზე მორგებული ლიფსიტის საწარმოებლად. მან, ასევე, ხაზი გაუსვა მაღალი ხარისხის მობილური ლაბორატორიების საჭიროებას, რომელიც დააკმაყოფილებს ფერმერების კონკრეტულ საჭიროებებს.

მომხსენებლების პრეზენტაციებს მოჰყვა კითხვა-პასუხის სესია, რომლის დროსაც მოწვეულ მონაწილეებს (მათ შორის კალმახის მწარმოებელ ფერმერებსა და კოოპერატივებს) შესაძლებლობა ჰქონდათ, წამოეჭრათ კონკრეტული პრობლემები, რომელთაც ისინი აწყდებიან და მოესმინათ რჩევები მოწვეული მომხსენებლებისაგან.

ყველაზე ფართოდ განხილული თემები იყო იმპორტირებულ კალმახის საკვებზე მაღალი ფასები და მისი ადგილობრივი წარმოების არარსებობა. როგორც ერთმა კალმახის მწარმოებელმა ბორჯომიდან აღნიშნა, იმპორტიორები დაბალი ხარისხის კალმახის საკვებზე მაღალ ფასს აწესებენ. პასუხად, ბატონმა ცოფურაშვილმა თქვა, რომ 2016 წლიდან სურსათის ეროვნული სააგენტო დაიწყებს იმპორტირებული კალმახის საკვების ხარისხის მონიტორინგს. ლიფსიტის მწარმოებელმა ჭიათურიდან აღნიშნა, რომ მთავარი პრობლემა მისი

ბიზნესისთვის არის ადგილობრივი წარმოების მაღალი ხარისხის ქვირითის სიმცირე, რაც მას აიძულებს, აწარმოოს იმპორტი ამერიკული შეერთებული შტატებიდან, მოგების დიდ წილზე უარის თქმის ხარჯზე. სხვა ფერმერებმა მდინარეების დაბინძურება დაასახელეს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად.

ფერმერებმა, ასევე, ისაუბრეს ბანკების მიერ იაფი მცირე საწარმოებისთვის იაფი სესხების გაუცემლობის ტენდენციებზე და ამ სესხების მოკლე საშელავათო პერიოდზე. როგორც ბატონმა ცოფურაშვილმა აღნიშნა, მთავრობა შეღავათიანი სესხების გაცემის ახალი გზების მოძიებაზე მუშაობს, თუმცა, როგორც მან ფერმერებს განუცხადა, როდესაც საქმე სესხების მოპოვებას ეხება, ბანკები უნდა იყოს აღქმული როგორც დღევანდელი მოცემულობა და ფერმერებმა მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ, როდესაც მოლაპარაკებას აწარმოებენ ბანკთან სასესხო განაკვეთსა თუ საშელავათო ვადაზე. ბატონმა მიშელაძემ მეკალმახეობის კოოპერატივების მისამართით აღნიშნა, რომ მათ შეუძლიათ დამატებითი კაპიტალის მოძიება ინვესტორებისთვის ასოცირებული წევრის სტატუსის მინიჭების გზით.

ფორუმის დასასრულს, ერიკ ლივნიმ, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტმა, აღნიშნა, რომ მართალია, თანამშრომლობა სარგებელიანია, როდესაც საქმე გვაქვს მასშტაბის ეკონომიკასთან, მაგრამ ის არ შეიძლება იყოს პასუხი ყველა იმ პრობლემაზე, რომლის წინაშეც დღეს ქართული მეკალმახეობის სექტორი დგას. ამის ნაცვლად, საჭიროა მრავალფეროვნების გაზრდა, მცირე და მსხვილმასშტაბიანი ბიზნესის მხარდაჭერა შეღავათიანი კრედიტებით, პროფესიონალური ვეტერინარული და

სხვა საჭირო მომსახურებით, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ კალმახის მწარმოებელს, მიაწოდოს ბაზარს თავისი ნიშის პროდუქტი და, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყოს საქართველოში ძალიან მრავალფეროვანი კალმახის ბაზრის შექმნას.

სილვია სანხუანმა, ფორუმის ორგანიზატორი პროექტის დირექტორმა, მონაწილეებს შეახსენა დიალოგთა სერიების მნიშვნელობა სამთავრობო პოლიტიკის ფორმირებაში და აღნიშნა სექტორის მხარდამჭერი პროგრამების წვლილიც. მან, ასევე, მოუწოდა მონაწილეებს თანამშრომლობაზე დაფუძნებული კერძო ინიციატივების შექმნისაკენ, რაც კალმახის მწარმოებლებისა და კოოპერატივების წინაშე არსებული პრობლემების (მაგ.: კალმახის საკვები) მოგვარებისკენ იქნება მიმართული.

აქტიური მონაწილეობისთვის მადლობის გადახდის შემდეგ, გიორგი ლლონტმა, CARE კავკასიის მისიის დირექტორმა, მონაწილეებს შეახსენა, რომ დიალოგის პლატფორმა კალმახის შესახებ ისევ ღიაა და შეხვედრის დროს განხილულ მთავარ საკითხებს ჩაუტარდება მონიტორინგი და ღრმად იქნება განხილული მომავალ შეხვედრებზე. ამასთანავე, კალმახის სექტორში ჩართულ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია არსებული წინსვლის შესახებ.

დაბოლოს, ნინო ზამბახიძემ მოუწოდა ფერმერებს, მეკალმახეობის სექტორის პრობლემებთან დაკავშირებით არსებული კითხვები წარმოადგინონ საქართველოს ფერმერთა ასოციაციაში და დაპირდა მათ სამინისტროსთან ამ საკითხებზე მუშაობას და დროულ და ზუსტ პასუხებს ფერმერების შენიშვნებთან დაკავშირებით.



**ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი** არის საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ეკონომიკის წამყვანი და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრი, რომელიც ერთ სივრცეში უყრის თავს პოლიტიკის კვლევებს, საკონსულტაციო საქმიანობას, ტრენინგებსა და დისკუსიებს საჯარო პოლიტიკის შესახებ. ISET-ის კვლევით ინსტიტუტსა და თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლას (ISET) შორის არსებული ორგანიზაციული სინერგია უზრუნველყოფს ორივე ორგანიზაციის ინტელექტუალურ-ფინანსურ მდგრადობას და არის საქართველოსა და რეგიონში დემოკრატიული მმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ეკონომიკური განვითარების გარანტი.

თებერვალი, 2016 წელი

# ISET

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა  
კვლევითი ინსტიტუტი



**Agricultural Policy Research Center**  
at ISET Policy Institute